პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 7 (1436), პარასკევი, 12 თებერვალი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | „ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО" — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

იზეიმებს სიმღერა და ყვავილები

ექვსი წლის წინათ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში კიდევ ერთი შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა — შემოღებულ იქნა ყვავილების დღე. წელს ეს დღე უფრო მდიდარი და საინტერესო იქნება: 30 მაისს ყვავილების ზეიმის ნაცვლად გაიმართება სიმღერისა და ყვავილების დღესასწაული.

ჩვენს დედაქალაქში ყვავილების ტრადიციულ დღესასწაულთან ერთად სიმღერის დღესასწაულის შემოღება მიზნად ისახავს საგუნდო ხელოვნების შემდგომ განვითარებას, ხალხური სიმღერების პოპულარიზაციას, ახალი ნაწარმოებებით რეპერტუარის გამდიდრებას, მომღერალთა ახალი გუნდების შექმნას, მათი საშემსრულებლო კულტურის ამაღლებას.

ახლადშემუშავებული დებულების თანახმად საქალაქო ზეიმის წინ მოეწყობა აუდიტორიული დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საწარმოებისა და დაწესებულებების, უმაღლესი, საშუალო და სპეციალური სასწავლებლების მომღერალთა თვითმოქმედი გუნდები და პროფესიული კოლექტივები. გუნდები დღესასწაულზე გამოვლენ რაიონების მიხედვით. სიმღერები შესრულდება საკრავი და სიმფონიური ორკესტრების თანხლებით. დღესასწაულის მონაწილენი დაიყოფიან პროფესიულ და თვითმოქმედ გუნდებად და ცალ-ცალკე მათი გამოსვლა მოხდება. დღესასწაულის გვირგვინი იქნება გაერთიანებული გუნდის გამოსვლა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს შვიდიათასზე მეტი კაცი.

შეიქმნა დღესასწაულის მოწყობის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა სათანადო ღონისძიებები და დღესასწაულის დებულება. საორგანიზაციო კომიტეტი შეაჯამებს ყვავილების კონკურსისა და მომღერალთა გუნდების შეჯიბრების შედეგებს და დააჯილდოებს გამარჯვებულებს.

სიმღერისა და ყვავილების დღესასწაული გაზაფხულის ჭეშმარიტ ზეიმად იქცევა. ამ დღეს ჩვენი მრავალათასიანი დედაქალაქი ქუჩებსა და პროსპექტებზე გამოვა სიცოცხლისა და სიყვარულის უშრეტ წყაროს ყვავილებითა და ხალხთა დიდებული გაზაფხულის ხმაჟღერი სიმღერებით.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ ო. ვ. თაქთაქიშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ოთარ ვასილის-ძე თაქთაქიშვილი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ვ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ქვაჩაძე

თბილისი,
1965 წლის 9 თებერვალი.

მთავარია თანამედროვეობა

კინოსტუდია „ქართული ფილმის" მუშაკთათვის შემოქმედებითი სიხარულით იყო აღსავსე გასული წელი. იგი ნაყოფია ხანგრძლივი დამოუკიდებელი შრომისა, რომლის შემფასებელიც მრავალათასიანი მაყურებელთა აუდიტორიაა. ყოველი გამარჯვება ერთნაირად ახარებს „ქართული ფილმის" რეჟისორებს და მსახიობებს, მხატვრებსა და მემონტაჟეებს, ყველას, ვისი თავდაუზოგავი და ზოგჯერ უხილავი შრომის ნაყოფიც საინტერესოსა და მომხიბლავს ხდის ახალ ფილმს.

შემოქმედებითი გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს ახლაც ამოიკითხავთ კინოსტუდიის მუშაკთა სახეებზე. მათი ნამუშევარი „ჯარისკაცის მამა" ხომ გასული წლის ერთ-ერთი საუკეთესო ფილმადაა აღიარებული პრესამ. მაყურებელმაც სათანადოდ შეაფასა რ. ჩხეიძის რეჟისორული ოსტატობა და ს. ზაქარიაძის ბრწყინვალე აქტიორობა.

მაგრამ ეს მაინც განვლილი ეტაპია და „ჯარისკაცის მამის" გამარჯვებით დამშვიდებული არავინ არის კინოსტუდიის მუშაკებში. მაყურებელი იყო, რომ ჩვენი კორესპონდენტის კითხვაზე — რაზე მუშაობენ ამჟამად კინოსტუდიის მუშაკები და რით გაახარებენ მიმდინარე წელს მაყურებელს

— კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორმა თ. ბოჭორიშვილმა გვითხრა:

— როგორც იცით, განვლილი წელი ჩვენი სტუდიისათვის ცუდი არ იყო. ამჟამად ვცდილობთ მაყურებელს 1965 წელს მეტი სიხარული მივანიჭოთ. მზად არის რამდენიმე ნაწარმოები, რომლებსაც მალე ნახავთ. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო კ. პიპინაშვილის ფილმი „ხევის შვილები", რომელიც ამ დღეებში გამოვა ეკრანებზე. ამ ფილმს საფუძვლად დაედო გ. ხუხაშვილის პიესა, რომელიც რამდენიმე წელია წარმატებით იდგმება რუსთაველის თეატრის სცენაზე. იგი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს დამპყრობელთა წინააღმდეგ ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლას, ადამიანების სიკეთისა და სილამაზისაკენ ლტოლვას.

„ქართული ფილმის" მუშაკებმა სხვადასხვა ნოველების სიუჟეტებზე შექმნეს ორი ფილმი, ერთი მათგანია „საზღვრული მოთხრობები", რომელშიც გაერთიანებულია სამი პატარა ნოველა — „სალამური" (რეჟისორი ო. აბესაძე), „მეჯი და ძაღლი" (რეჟისორი თ. გორძე) და „ბუზი" (რეჟისორი ნ. მჭედლიძე), ხოლო მეორე — „წარსულის ფურცლები". ამ უკანასკნელში გაერთიანებულია სამი ნოველა — „[illegible]" (რეჟისორი გ. შენგელაია), „მიხა" (რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი) და „მიქელა" (რეჟისორი ე. შენგელაია).

მალე გამოვა ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი — მ. კობახიძის „ქორწილი" და ნ. მჭედლიძის „ალმაცერი". „ალმაცერი" „ქართული ფილმის" პირველი ფართოფორმატიანი კინონაწარმოებია.

ახლა ზამთარია და ჩვენი რეჟისორები კინოსტუდიის პავილიონებში ამთავრებენ გადაღებას. გაცხოველებით შრომობს კინოექსპედიცია, რომელიც ეკრანზე გადაიტანს ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს". ამ ფილმზე მუშაობს ლანა ღოღობერიძე. ახალგაზრდა კინოსცენარისტმა ლ. შენგელიამ დაწერა სცენარი კომედიური ფილმისათვის „პიერი — მილიციის მუშაკი". ამ ფილმზე უკვე მუშაობს კინოექსპედიცია რეჟისორ ლ. რონდელის ხელმძღვანელობით. ცნობილი კინორეჟისორი შ. ქავთარაძე მუშაობს ფილმზე „რაც გინახავს ვეღარ ნახავ" (სცენარი ნ. წულეისკირისა). რეჟისორი გ. მგელაძე იღებს ა. თვალჭრელიძისა და ზ. ჭაბაშვილის კომედიას „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი". ი. მდივნის სახელი არ არის უცხო ჩვენი კინომაყურებლებისათვის. მისი სცენარების მიხედვით შექმნილ ფილმებს წარმატებით უჩვენებენ როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოეთის ეკრანებზე. მან ჩვენი სტუდიისათვის დაწერა „ზღაპრული მალალა", რომელსაც იღებს რეჟისორი შ. მანაგაძე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორი შემოქმედის ერთობლივ მუშაობას ხშირად კარგი ნაყოფი მოაქვს. ი. მდივნის სცენარის მიხედვით შექმნილმა შ. მანაგაძის ფილმმა „საბედნიერო ჭაბუკმა" წარმატებით მოიარა მრავალი ქვეყნის ეკრანები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფილმები მიმდინარე წელს უნდა ნახოს მაყურებელმა, ახლა გაცხოველებით ვმუშაობთ იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც მომავალ წელს გამოვა. მათ შორის უნდა აღინიშნოს გ. ასათიანისა და გ. შენგელაიას სცენარი „მაცი ხვიჩია", რომელსაც საფუძვლად დაედო [illegible] რომანი. ფილმს გადაიღებს გ. შენგელაია. რეჟისორი ი. კვირიკაძე მუშაობს ფილმზე „თამაშით უკვამოდ", ხოლო ო. იოსელიანი ფილმზე — „ნაცნობი სახეები".

ახლოვდება დიდი ლენინის დაბადების 100 და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. ყოველი ხელოვანის უპირველესი მოვალეობაა ღირსეულად შეხვდეს ამ დიდ თარიღებს. „ქართული ფილმის" მუშაკები უკვე შეუდგნენ მზადებას ამ ისტორიული თარიღების შესახვედრად. რეჟისორი ს. დოლიძე მუშაობს კოლექტივიზაციის პერიოდის ამსახველ ფილმზე. განზრახული გვაქვს ამ თარიღის აღსანიშნავად წარმოებას გადავცეთ „ქართლის ჩიტუნები" (სცენარი ვ. კანდელაკისა), „1963 წლის ზაფხული" (სცენარი ო. იოსელიანისა) და „დივიზიის მეთაური კავშირი" (ვ. დარასელის პიესის მიხედვით, სცენარი გ. კობახიძისა).

ხალხის ყოველდღიური შრომა — ეკრანზე

ჩვენი კინოდოკუმენტალისტების ფოკუსში ყოველთვის იყო ხალხის თავდადებული შრომა, მაყურებელს გაეცნობ მოწინავეთა გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

სწორედ ამაზე გვესაუბრება ყურადღება ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში **ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის დირექტორი, მ. ი. მესხიშვილი:**

— შარშან ჩვენმა კინოდოკუმენტალისტებმა რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები შექმნეს. ბევრი მათგანი მაყურებელმა მოიწონა ჩვენს რესპუბლიკაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ასათიანის სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „საუკუნეთა წყვდიადში" (სცენარი გ. კეშელავასი და გ. ასათიანისა). ამ ფილმში მაყურებელი ეცნობა ქართული კულტურის იმ ძეგლებს, რომლებიც საზღვარგარეთსა და ბულგარეთში მოიპოვება.

ეკრანებზე ახლახან გამოვიდა ი. დუბინსკის სცენარის მიხედვით რეჟისორ შ. ჩაგუნავას მიერ შექმნილი ფილმი „ილიჩის მეგობარი — მიხა", იგი ასახავს მგზნებარე რევოლუციონერის მიხა ცხაკაიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას. დიდი რუსი პოეტის მ. ი. ლერმონტოვის იუბილესთან დაკავშირებით რეჟისორმა შ. ჩაგუნავამ გადაიღო „ლერმონტოვი საქართველოში" (სცენარის ავტორი და მთხრობელია ირაკლი ანდრონიკაშვილი, ოპერატორები — ნ. ნავროზი და მ. კრუმი).

დიდი ინგლისელი დრამატურგის უ. შექსპირის დაბადების 400 წლისთავთან დაკავშირებით ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა ნ. ყიასაშვილის სცენარის მიხედვით შექმნეს „ქართული შექსპირიანა" (რეჟისორი ო. ჭიაურელი, ოპერატორი შ. შოშიტაშვილი).

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა მოკლემეტრაჟიანმა დოკუმენტურმა ფილმმა „დ. გულია" (სცენარის ავტორი — ი. თარბა, რეჟისორი — ვ. ალავიძე, ოპერატორი — ო. დვალიშვილი) და „ენგურჰესის მშენებლებმა" (სცენარი შ. ცირეკიძისა, რეჟისორი — ვ. ვალიშვილი, ოპერატორები ლ. არზუმანოვი და ა. პოლოსოვი).

მიმდინარე წელს განზრახულია 31 დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმის გადაღება.

ამ დღეებში საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით საფრანგეთში მოგზაურობს. ამ ანსამბლისა და ცნობილი კინოდოკუმენტალისტის გ. ასათიანის მეგობრობა კვლავ გრძელდება. იგი ახლაც მიჰყვება ანსამბლს საფრანგეთში და გადაიღებს ფილმს „ნოველები საფრანგეთზე".

აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნება პროფესორ ქ. ძიძიშვილის სცენარის მიხედვით შექმნილი ფილმი „ი. ბერიტაშვილი". მწერალმა ლევან გოთუამ ჩვენი სტუდიისათვის დაწერა ორი სცენარი. ერთი მათგანი მაყურებელს გააცნობს ჩვენს ისტორიულ ძეგლებს დავით გარეჯში, ხოლო მეორე — მთამსვლელ მ. ხერგიანის [illegible] უშბაზე უკანასკნელ ასვლას.

ხელოვნებათმცოდნე ნ. ელიაშვილის სცენარის მიხედვით გადავიღებთ მოკლემეტრაჟიან სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს: „მხატვარი დეკორატორი ირ. გამრეკელი", ხოლო ი. ტრუმანის სცენარის მიხედვით შეიქმნება „ესთეტიკა და ყოფა", რომელიც წარმოაჩენს ცხოვრებაში ხელოვნების შეჭრისა და დამკვიდრების მთელ რიგ საკითხებს.

ქართული თოჯინის შექმნისა და მისი განვითარების გზებზე მოგვითხრობს ფილმი „თოჯინა — საყვარელი სათამაშო" (სცენარი ნ. ღოღობერიძისა).

„ოქროს ხელი" — ასე ერქმევა ფილმს, რომელსაც თავისავე სცენარის მიხედვით შექმნის გ. კანდელაკი (ოპერატორი გ. ნაჭყებიაშვილი). იგი ეძღვნება თეატრალური დეკორატორების მუშაობას.

ამ დღეებში გამოვა პირველი კინოჟურნალი „საბჭოთა ამიერკავკასია". ეს იქნება ყოველთვიური კინოჟურნალი და გადმოგვცემს მოძმე რესპუბლიკათა — სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

ქართველი კინოდოკუმენტალისტები შეეცდებიან ეკრანზე აესახათ არ დარჩეს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი არცერთი საინტერესო ფაქტი.

კოლმეურნეობა მიანიჭებს ლიტერატურულ პრემიებს

ესტონეთის ერთ-ერთმა მოწინავე კოლმეურნეობამ, რომელიც ესტონური ლიტერატურის კლასიკოსის ედუარდ ვილდეს სახელობისაა, მწერლის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით დააწესა თავისი სახელოვანი თანამემამულის სახელობის ყოველწლიური ლიტერატურული პრემია.

ე. ვილდეს სახელობის პრემია, მიენიჭებათ საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორებს. მომავალი ლაურეატების დასაჯილდოებლად შეიქმნა სპეციალური ფონდი.

კრიმენტი ბობიავა

დავითაიას გამარჯვება

ნარკვევი

აფხაზეთში ცოტა წვიმოდა, ცოტა წვიმიანი და მერე ზამთარი დგება. თბილმა ამინდმა მიწა ადრე გააღვიძა.

იმ დღეს, ჩვენმა მეზობელმა, სერგო მათითაშვილმა, სოხუმის სახინჩი მომარაგებას რომ ხელმძღვანელობს, ეხუმრა მეგობარს:

— ხედავ რა ჭკუიანში ვცხოვრობთ!

— გიხარიდეს, შეშა და ნახშირი დაგვზოგავს.

— კაი, კაი! — გულიანად მოუქცია.

ასეთ კარგ ამინდში ვეწვიეთ ოთარ დავითაიას, სოფელ გულრიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

კოლმეურნეობის კანტორის ეზოში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი.

— კრება ხომ არ გაქვთ? — ვკითხე ოთარს.

— არა, ფულს ვარიგებთ.

ამან დამაინტერესა, ფანჯარასთან ისე დავჯექი, რომ სალაროს წინ მდგარი ადამიანები კარგად დამენახა. აი, მოხუცმა ფული მიიღო, მაგრამ სალაროს არ მოშორებია, იქვე ფულის თვლას შეუდგა, კარგი, ბეჯითად, მიიანგარიშა, ამ ხანში შევნიშნე, გამორჩა, მაცადეთ, და ისევ შეუდგა ფურცლავს.

— რა მოუვიდა, — შეეკითხნენ.

— რა მოუვიდა, სახლში დატოვა.

— გვიან ეჩვენება, შვილო.

— რა რამ დაგაინტერესა? — შეეკითხა ოთარმა, მე ის მოხუცი ვუჩვენე.

— ჰო, ეგ ჩვენი კონტრაქტანტი ვაჟუაა.

მანამდე დავკავშირდი, ხელით ანიშნა, ჩვენთან მოიყვანეო.

კაბინეტში შემოვიდა ტანმაღალი მოხუცი. ყველას ხელი ჩამოართვა, დავითაიას მოხუცის დაკარგულ ხელისთვის ხელი არ გაუწვდია, ისე უთხრა:

— რისთვისაც წაიღეთ, რას იტყვი?

— მადლობას მეტი რა მეთქმის, მაგრამ იქ მოგვატყუებენ, შინ წავიღეთ, გთხოვთ.

სტუმრებსაც გადმოუხედა კეთილი თვალებით, გულწრფელმა ღიმილმა სახე გაუბადრა.

ვაჟუას ახლახან დაუნიშნეს პენსია, სამოცდაშვიდი წლისაა, მაგრამ ბრიგადაში მუშაობა მაინც არ დაუთმია. ხელი გამოიღო, სიმინდისა და თამბაქოს მზრუნველობა არ დაუკლია და სახახელო მოსავალი მიიღო, ხალხსა და სახელმწიფოს სარგებლობა მოუტანა, თვითონაც არ დარჩა გულნაკლული. აი, ახლა შრომადღეების საფასური, 1423 მანეთი, ჯიბეში უდევს, შინ გვეპატიჟება, კარგ გუნებაზეა, რომ არ წავყვეთ ეწყინა, წარბები შეყარა და დავითაიას ცივად უთხრა:

— რა გაეწყობა, თუ არ გცალიათ, მაგრამ მანქანა მაინც მათხოვე, ბარემ სიმინდსაც დავაბინავებ!

დავითაიამ ქაღალდზე რაღაც წაუწერა, შოფერს მიუტანეო, მოხუცი გავიდა.

— რამდენი სიმინდი ერგო? — მაშინვე ეკითხება. ოთარმა თავისი წიგნაკი გადაფურცლა-გადმოფურცლა.

— სამი ტონა და ასი კილოგრამი.

— ხარობს ვაჟუა?

— რად უნდა ამდენი, მისი ოჯახი ერთ ტონასაც ვერ შეჭამს.

ისევ გავიხედე სალაროსკენ. ზოგი, იქვე კედელთან მიმდგარიყო და ფულს ითვლიდა. ზოგი ამხანაგს ეჩიჩინებოდა, თითო რამე დაუთვლიდა. სალაროსთან ქალიშვილი იდგა, თმა მოკლედ ჰქონდა გადაკრეჭილი, დამაინტერესა, თვალი მოვკიდე. ფული არ დაითვალა, ხელჩანთაში ჩაყარა და წავიდა. მალე ის ქალიშვილი კაბინეტში შემოვიდა, უცნობი რომ დამინახა, კარებშივე შეჩერდა.

— მობრძანდით, ეთერ! — შეეგება თავმჯდომარე.

— მერე შემოვალ.

— რატომ მერე, გაიცანი სტუმარი.

ეთერი მორიდებით მოუახლოვდა, მერე კარისაკენ გასწია.

— სად მიდიხარ, აქ დაბრძანდი!

ეთერი სკამზე ჩამოჯდა.

— ეთერმა შარშანწინ დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, ბევრის სარჩენელად შინ არ წასულა, — დაიწყო დავითაიამ, — თავის მეზობლებს ბრიგადაში ამოუდგა. მოსავლელად თამბაქო აირჩია, ყოველწლიურად ადიდებს მის მოსავალს, ამ ფაქიზ მცენარეს გული მოუნახა, იცის მისი ასავალ-დასავალი, შარშან 340-ის მაგიერ 780 კილოგრამი აბრეშუმივით თამბაქოს ფოთოლი დააბარა, წელს უფრო მეტს გვპირდება, რას ერჩით, ეს მაგარა ქალიშვილი დიდ საქმეს აკეთებს. ახლა ის მაინც გვითხარი, რამდენი ფული მიიღე.

— ათას ექვსასი მანეთი.

— სიმინდი?

— ექვსი ტონა.

გაიცინა.

— ვიცი, აქ რისთვის შემოხვედი, — უთხრა დავითაიამ, — აბა, ეს მიუტანე შოფერს, წაიღე სიმინდი!

ოთარიმ ქაღალდი მისწერა. ეთერმა ერთხელ კიდევ შემოგვხედა დარცხვენილი თვალებით, თავი დახარა და გავიდა.

ამას წინათ კოლმეურნეობის საანგარიშო კრება შედგა, შარშანდელი წლის საქმიანობა შეაჯამეს. ოთარს დიდხანს არ ულაპარაკია, გრძელი სიტყვა მოკლედ მოსჭრა, ან რა ჰქონდა სათქმელი? დავ[illegible] ქირნახული თვითონ ლაპარაკობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნაღვაწზე, ლაპარაკობდა მწვანე-მოცისფერო სიმდიდრეზე, სოფლის დოვლათსა და კეთილდღეობაზე. სათქმელი კრიტიკის მჭევრი დამიანე გოგოხია ხშირად ესწრება კრებებს, ყურადღებას ამახვილებს ნაკლოვანებებზე, იძლევა რჩევა-დარიგებებს, გასაკიცხს კიცხავს, საქებს აქებს, მაგრამ გულრიფშელებს მან იმ დღეს ყველაზე მოკლე სიტყვა უთხრა, როგორც კი რიგებში წარმოუთქვამს:

— გმადლობთ, ამხანაგებო!

დამიანე გოგოხიას ამ კოლმეურნეობის კრებებზე ბევრი მწარე სიტყვაც უთქვამს და ბევრი ყოფილი თავმჯდომარე მოუხსნია. ეს არც ისე დიდი ხნის წინათ იყო. უუნარო თავმჯდომარეები ერთმანეთს ცვლიდნენ. გლეხები შრომობდნენ, მაგრამ შრომას ფასი არ ჰქონდა, შრომადღეზე კაპიკებს ღებულობდნენ. სოფელში ახლაც არის და ბევრმა ქალაქს მიაშურა, მეტს მოთმენა არ შეიძლებოდა. სოფელმა უკეთესი ხელმძღვანელი მოინდომა და ოთარ დავითაია აირჩია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ოთარის შრომა და ლაზათი ილოცეს, მოკლე ხანში კარგად სახელდებული კოლმეურნეობა ფეხზე წამოაყენა, ჩვენც აგვამაღლებინა, იმედი ჰქონდათ და ეს იმედი გაუმართლდათ.

სოფლის ახალმა ხელმძღვანელმა საქმე წაღმა შეატრიალა. მდგომარეობის ნათლად დასანახავად კმარა ერთი ციფრი. 1960 წელს, შემოდგომაზე, როცა ოთარი ამ კოლმეურნეობაში მოვიდა, სიმინდი აუღებელი იყო და თითქმის ტონის მეტი ვერ მოიტანა ბეღელში. ერთი მარცვალი არ დარიგებულა, შარშან კი მარტო ერთ გამრჯე ქალიშვილს შრომადღეებზე ერგო ექვსი ტონა.

დავუბრუნდეთ ისევ ამასწინანდელ კრებას. კრების დასასრულს ნამთარიგეს ეწყობა საჩუქრები. ჩვიდმეტი ადამიანის ოქროს ხელზე ჩვიდმეტი ოქროს საათი გაბრწყინდა.

ქებასაც ხშირადაა ზომა-წონა. ნამეტანი ხომ არ გამოვიდა?!

მივყვეთ ციფრებს და ბევრ თვითონ თქვენ, შეადარეთ, გაასწორეთ... თუმცა, ამბობენ, ხანდახან ციფრები ამძიმებს და მოსაწყენობას უქმნის ნარკვევს, არ ვიცი ეს რამდენად სწორია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ციფრს თავისი ძალა და დამაჯერებლობა აქვს. ამიტომ ვაიმედები და მივმართავ ისევ ციფრებს.

შრომადღის ღირებულება არის მუდმივი მაჩვენებელი მთელი საკოლმეურნეო საქმიანობისა. შარშან შრომადღეზე განაწილდა ოთხი კილოგრამი სიმინდი, და ფულად, ორი მანეთი და ოთხმოცი კაპიკი. ამას წამახალისებელი პრემია-წანამატიც რომ დავუმატოთ, გაცილებით მეტი გამოვა.

უხვმა მოსავალმა აამაღლა შრომადღის ღირებულება. სიმინდის ყანებსა და თამბაქოს პლანტაციებში, ზვრებსა და ხეხილის ბაღებში მარჯვედ იმუშავა სოფელმა და მოსავალიც არნახული მიიღო.

მაგრამ ამ საერთო წარმატებას, სიხარულის დიდ სინათლეს, ჩრდილი მაინც გასდევს. მეცხოველეობა ჩამორჩება. ძროხა ერთ და ორ წელიწადს ვერ გაიზრდება, დავითაიას ცოტა კიდევ ვაცალოთ, მერე შრომადღეზე ყველაფერი გაანაწილდება. საქმე აქეთკენ მიდის, ფერმა ჯიშიანი ძროხებით გავსო, მალე რძის ნაკადი დაიძვრება.

ჩვენ ისევ ვსაუბრობთ: უცებ ფანჯარაზე ვიღაცამ მოაკაკუნა.

— ოთარ, ჩვენ როდის გვაძლევთ ფულს? — იკითხა უცნობმა.

— ხვალ, — მიუგო ოთარმა და მერე მე მითხრა, — ნახეთ, რა ბედნიერზე ზის ჩვენი არუთა.

არუთინ ყარამანიანი ბრიგადირია, მისი თამბაქოს პლანტაციები სოფლის ბოლოსაა, მთებში. ახლა მან მაუხეკო და სამარგლი მანქანებით სავსე გზოში თუთის ჯარი შემოაყენა. ჯარი დიდიხანია არ მინახავს, არუთინა შწიოთხად იქნა, სულაც მიეჩქარებოდა, მანქანებს ჩაუარა და ჩიმკარში გაუდგა.

გულრიფში დიდი და ძველი სოფელია. თავისივე სახელობის მთიდან ეშვება და პირდაპირ ზღვამდე ჩადის. ციტრუსებისა და თამბაქოს პლანტაციები უზოგრძივად ამ მთის კალთებზეა გაშლილი. აქ მანქანა არ ეჩვევა, მექანიზმურად ცოტა დიდიან. ოთარსაც ჰყავს ყორანა ცხენი, „ბერძენი", ფიცხი თოხარიკია, თავლა გვერდით აქვს, მაგრამ მანქანა პირზე მაინც ვერ იტანს, ფრთხება.

ოთარის კაბინეტში ხშირი ყურადღება მიიპყრო სიმინდის ტაროებით სავსე გამჭვირვალე ტომრებმა, რომლებიც კუთხეში ერთიმეორეზე ეწყო. ეს სხვადასხვა ნაკვეთებზე მოწეული სიმინდია. ოთარ დავითაიამ, მართალია, თავის დროზე პედაგოგიური განათლება მიიღო, მაგრამ ბედმა საკოლმეურნეო შრომაში ჩააბა. ახლა მიწისა და მცენარის ცხოვრებას სწავლობს. სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტის უკანასკნელ კურსზეა, სადიპლომო შრომისათვის ცდები დააყენა, შეისწავლა რომელი სახეობა როგორ მოქმედებს სიმინდის მოსავლიანობაზე. და ამ ტომრებში გამოხვეული ტაროებიც სხვადასხვა ნაკვეთებზე მიღებული მოსავლის ნიმუშებია.

თვალის ერთი გადავლებით თითქმის მთლიანად ვნახე ოთარ დავითაიას საწარმოო ცხოვრება, მერე შინაც ვეწვიე. ჭიშკარში შემოგვეგება მერაბი, მეშვიდე კლასელი, მამასავით მაღალი და ხმელხმელი. მის უფროს დას ლიანას, ყველაზე უმცროსი გოგონა გვერდზე მოუსვა და მოსკოვის ამბებს უყვებოდა.

ოთარმა ლიანასა და მერაბს ტურისტული მატარებლის საგზური უყიდა და სხვა კოლმეურნეთა შვილებთან ერთად მოსკოვს გაისტუმრა.

ოთარი ყველაფერს ასწრებს, დაუზარელი კაცია, დასვენებაც რიგიანად იცის და შრომაც. მისმა უნარმა სოფელი ფეხზე წამოაყენა. ახლა, ზამთრის საქმე უკვე მოგვარებული აქვს, კიდევ რამდენიმე დღე და ტრაქტორები გავლენ მინდორზე, პლანტაციებში ბარი და თოხი დატრიალდება.

წელს უფრო მეტ ხილსა და სიმინდს გვპირდებიან გულრიფშელები.

„დაისი" — სარატოვის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე

ამ რამდენიმე ხნის წინათ სარატოვში, ნ. ჩერნიშევსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი".

სარატოვის საოლქო გაზეთი „კომუნისტი" ამ დადგმისადმი მიძღვნილ რეცენზიაში წერს:

„ოცდაათი წლის შესვენების შემდეგ ჩვენი თეატრის სცენაზე კვლავ ჟღერს ქართული ხალხური მუსიკის მარგალიტი — „დაისი".

ფალიაშვილის მუსიკის სილამაზე, მისი ღრმა, სულშიჩამწვდომი ლირიზმი და დრამატული სიმძაფრე, ეროვნული სურათების სიხარული და საგმირო სცენების მონუმენტურობა — ყველაფერი ეს გაღელვებს, გატყვევებს და მაყურებელთა მთელ დარბაზს ხანგრძლივ განწყობილებას უქმნის.

შემთხვევითი არ არის, რომ ნ. ჩერნიშევსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა დასადგმელად სწორედ ეს შესანიშნავი ნაწარმოები აირჩია. ამით ჩვენ ერთხელ კიდევ გავხდით იმის მოწმენი, თუ როგორ მტკიცდება მოძმე ხალხების შემოქმედებითი მეგობრობა, გავხდით მოწმენი იმ დიდი სურვილისა, რომ სარატოველ მსმენელებისათვისაც ყოფილიყო მისაწვდომი მოძმე ქართველი ხალხის მუსიკალური კულტურის შედევრი.

თეატრი პირველად როდი მიმართავს მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორთა შემოქმედებას. სარატოვის სცენაზე დაიდგა ქართული კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე", უკრაინული ისტორიულ-გმირული ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი", აზერბაიჯანული მუსიკალური კომედია „არშინ მალ-ალან".

სარატოვის საოლქო გაზეთი აღნიშნავს, რომ „დაისის" დადგმა ადვილი განსახორციელებელი როდი იყო რუსული თეატრისათვის. დადგმის სირთულე უპირველესად მისი ნაციონალური კოლორიტის გადმოცემასთან იყო დაკავშირებული, შემსრულებლები უნდა დაუფლებოდნენ მათთვის უჩვეულო, რბილ და მეტყველ ვოკალურ ხაზს.

დიდი დახმარება გაუწიეს თეატრს საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა — მხატვარმა ე. ბერძენიშვილმა და ბალეტმეისტერმა ი. ორჯონიკიძემ.

ახალგაზრდა რეჟისორი, მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტი ვ. ბაგრატუნი თავის პირველ დადგმას მეტად დიდი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა. სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ მან წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას.

რეჟისორის ჩანაფიქრს — განაგრძობს გაზეთი, — ორგანულად ერწყმის ბალეტმეისტერ ი. ორჯონიკიძის მიერ დადგმული ცეკვები. მათ თავისი სიმხურვალითა და ცეცხლოვანი ტემპერამენტით კიდევ ერთი ლამაზი შტრიხი შემატეს სპექტაკლის მართლიანობას. დირიჟორმა ვ. ორლოვმა, რუსეთის ფედერაციის დამსახურებულმა არტისტმა ა. დობრომიროვმა ბევრი რამ გააკეთეს ოპერის მუსიკალური ხორცშესხმისათვის. კარგად ჟღერს ორკესტრიც.

რეცენზენტი დიდ შეფასებას აძლევს მაროს პარტიის ორ შემსრულებელს — რუსეთის სახალხო არტისტს გ. სტახანოვას და ო. ბარდინას. სტახანოვა, — აღნიშნავს გაზეთი, ცდილობს გადმოსცეს თავისი გმირის ნაზი, ქალური სახე. მისი ყველა მოძრაობა ხაზგასმით ერწყმის მუსიკას. თითქმის ასეთივეა ო. ბარდინას მაროც. ბარდინას შესრულებული პარტია ბოლომდე გაბმული და ლამაზია, განსაკუთრებით კარგად ჟღერს საკმაოდ გრძელი არია მეორე მოქმედებაში და „მაროს ტირილი" მესამე მოქმედებაში.

გაზეთ „კომუნისტის" აზრით, ბ. ცვეტკოვსკიმ, რომელმაც კიაზოს პარტია შეასრულა, შექმნა ზუსტი და კოლორიტული სახე [illegible]. კარგად გახსნა მისი შინაგანი სამყარო. ახალგაზრდა მომღერლის ვ. არბუზოვის მალხაზს რეცენზენტი ასეთ შეფასებას აძლევს: „მალხაზი ლირიკული გმირია. ახალგაზრდა მსახიობი ვ. არბუზოვი, რომელსაც კარგი ვოკალური მონაცემები აქვს, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ჩასწვდა თავის როლს. იგი ოდნავ ცივია, აკლია ემოციურობა. სამაგიეროდ ა. საბადაშევი, რომელიც არბუზოვის შემდეგ ცეკვავს მალხაზის პარტიაში, უფრო ნაყოფიერი გამოდგა. იგი გულწრფელად გადმოსცემს მალხაზის განცდებს, მის მიერ შექმნილი სცენური სახე ზუსტია და დასრულებული".

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა ჯ. ვერდის „დონ კარლოსი". ოპერის სარატოველმა მოყვარულებმა ეს დადგმა ნ. ჩერნიშევსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ერთადერთ კარგ დადგმად მიიჩნიეს. „დაისი" ამ თეატრის მეორე ბრწყინვალე სპექტაკლია.

ასეთია სარატოვის საოლქო გაზეთის „კომუნისტის" აზრი ამ სპექტაკლის დადგმის შესახებ. ამავე გაზეთის 9 იანვრის ნომერში მოთავსებულია მაყურებელთა წერილები ამ სპექტაკლზე. „ჩვენი დღესასწაული", „დიდი წარმატება", „მადლობა ამ სპექტაკლისთვის", „დიდი კმაყოფილება", — ასეთი სათაურები აქვს ამ წერილებს.

სარატოვის ოპერისა და ბალეტის თეატრში „დაისის" პრემიერას დაესწრნენ კომპოზიტორის ძმა პროფესორი ლევან ფალიაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ვახტანგ ფალიაშვილი და ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი ვაჟა ჩინჩალაძე.

სპექტაკლის დამდგმელებს ისინი საქმიანი რჩევებითა და კონსულტაციით დაეხმარნენ.

ბიჭვინთის ზღვა
ფოტო გ. მანიასი.

განვიხილავთ რუსთაველის პრემიაზე წარდგენილ ნაწარმოებებს

კამერული ჟანრის დიდოსტატი

სულხან ცინცაძის მეხუთე, სიმებიანი კვარტეტი რუსთაველის სახელობის პრემიაზე წარდგენილი. უთუოდ კანონზომიერია ის ფაქტი, რომ სახელოვანი ჯილდოს „მაძიებელი" სწორედ ამ ჟანრის ნაწარმოები გახდა. თქმა არ უნდა, თავისი საკომპოზიტორო მოღვაწეობის მანძილზე ცინცაძემ გამოავლინა მხატვრულ მისწრაფებათა მრავალმხრივობა და, შეიძლება ითქვას, ჟანრობრივი უნივერსალიზმიც. მუსიკალური საზოგადოებრიობის აღიარება ჰპოვეს არა მარტო მისმა საყოველთაოდ ცნობილმა საკვარტეტო ოპუსებმა, არამედ სიმფონიებმა (ცერძოდ, მეორე სიმფონიამ, რომელიც, ქორეოგრაფიულ ენაზე ამეტყველებული, წარმატებით იდგმება სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ-დრამატულ თეატრში), ბალეტმა „დემონმა", ოპერეტამ, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ჭეშმარიტად ფრთოსან კინოსიმღერებზე. მაგრამ, უეჭველია, ვირტუოზი ოსტატისა და დახვეწილი ესთეტიკური კულტურის ხელოვანის რენომე მას, პირველ რიგში, კვარტეტებმა და საკვარტეტო მინიატურებმა შეუქმნა. აი, მუსიკა, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს, მუსიკა, რომლითაც ქართული კულტურა ღირსეულად შეიძლება წარსდგეს ნებისმიერ, თუნდ ყველაზე მკაცრ საერთაშორისო ფორუმზე.

ცინცაძის ხუთი კვარტეტი — ეს მარტო ცალკეული ნათელი მხატვრული მიღწევა როდია, არამედ მისი საკომპოზიტორო გზის საეტაპო მომენტები, რომლებიც ასახავს და განაზოგადებს წინამავალი პერიოდის შემოქმედებით ძიებებსა და ტენდენციებს და მისი მუსიკალური სტილის შემდგომი ევოლუციის გზებს სახავს.

საგულისხმოა, რომ ცინცაძის პირველივე წარმატება ამ ჟანრთან იყო დაკავშირებული, — ჯერ რესპუბლიკური მასშტაბით — 1947 წელს, როდესაც ოცდაოთხი წლის კომპოზიტორის პირველმა კვარტეტმა პრემია მიიღო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის კონკურსზე, ხოლო ორიოდე წლის შემდეგ კი — საკავშირო მასშტაბითაც: ზმჭერად ცინცაძეს, მაშინ ჯერ კიდევ მოსკოვის კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტს, მეორე კვარტეტისა და სამი საკვარტეტო მინიატურის შექმნისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ჩვენს კომპოზიტორებში ცოტას ჰქონია თავისი ნათელი თვითმყოფობითა და პროფესიული სიმწიფით ასეთი მოულოდნელი შემოქმედებითი დებიუტი. შემთხვევითი არ არის, რომ პირველი დიდი გამარჯვება ახალგაზრდა კომპოზიტორს კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრში ხვდა. ცინცაძე ჩინებული ვიოლონჩელისტია. მან ორი სპეციალობით დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია, როგორც ვიოლონჩელისტმა და როგორც კომპოზიტორმა (შესაბამისად — 1950 და 1953 წლებში), მანამდე კი იგი რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო კვარტეტში უკრავდა. აქ გამოუმუშავდა მას საკვარტეტო სტილის ფაქიზი შეგრძნება.

ამ წერილშიც მე არსებითად მის კვარტეტებს შევეხები, რამდენადაც სწორედ აქ გამოვლინდა ყველაზე მკვეთრად ცინცაძის შემოქმედებითი მეობა და, რაც მთავარია, თვით „ლაურეატობის კანდიდატი" მე-5 კვარტეტიც ხომ ამ ჟანრის ნიმუშია.

ცინცაძის პირველი სამი კვარტეტი შეიძლება ერთ დიდ ციკლად გავაერთიანოთ. არსებითად, ისინი ერთ მხატვრულ სფეროს წარმოგვიხატავენ და ერთ სტილისტურ ფარვატერშია. მსგავსება შეინიშნება თემატიკაში, ინტონაციურ ენაში, თვით კომპოზიციაშიც კი. მათი საერთო ხასიათი ჟანრულ-ლირიკულია, სჭარბობს ნათელი პოეტური განწყობილება, ლაღი, ცხოველმყოფელი სახეები. ამ კვარტეტების მუსიკა რიტმებითა და ინტონაციებით, ჰარმონიული სახეცვლებით, ზოგჯერ თვით ტემბრული კოლორიტითაც კი თითქოსდა ქართული ხალხური სიმღერის წიაღშია დაბადებული. კომპოზიტორის მაღალი პროფესიული კულტურა, დახვეწილი გემოვნება, მუსიკის რაღაც განუმეორებელი საერთო არომატი ხიბლავს მსმენელს.

მე-2 და მე-3 კვარტეტები ცინცაძის შემოქმედებითი განვითარების საკვანძო პუნქტია და ამ ეტაპზე მისი საკომპოზიტორო ოსტატობის კვინტესენციაა. მათში მკაფიოდ გამოიკვეთა ცინცაძის ნათელი მხატვრული ინდივიდუალობა, ჩამოყალიბდა მისი მუსიკალური სტილის ტიპიური თვისებები. ძნელია გადაჭარბდეს კვარტეტების მნიშვნელობა, როგორც ამ ჟანრის პირველი სრულყოფილი ნიმუშებისა ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის ისტორიაში.

განუყოფელია ამ ორი კვარტეტისაგან ამავე წლებში შექმნილი მინიატურების ორი ციკლი სიმებიანი კვარტეტისათვის და ვიოლონჩელო პიესების ციკლი. ისინი ენათესავებიან კვარტეტებს როგორც თავისი თემატიკით, ინტონაციური სტილით, ასევე საკვარტეტო ინსტრუმენტების ცალკეული ხერხებითაც. ეს ნამდვილი პატარა მარგალიტებია: — უპირატესად, ქართული ხალხური ყოფის სურათები — „საჩიდაო", „მწყემსური", „ურმული", ან „მიკროხუმული" ხვრიულები — „ინდი-მინდი", „სახუმარო", ან კიდევ უფრო დახვეწილი ლირიკული სიმღერები — „ლალე", „სიმღერა", „გაფრინდი, შავო მერცხალო". კომპოზიტორი ხშირად მიმართავს ხალხურ საცეკვაო და საცეკვაო თემებს, ოსტატურად აბაძებს ხალხური საკრავების — ჩონგურის, დუდუკის, სალამურის ხმოვანების იმიტაციას.

ეს ნაწარმოებები ამთავრებენ ცინცაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველ პერიოდს.

მომდევნო წლებში ცინცაძე დაჟინებულად მუშაობს თავისი შემოქმედების იდეურ-მხატვრული შინაარსის გაფართოებასა და გაღრმავებაზე, მუსიკალური სტილის გადახალისებაზე, წერს ნაწარმოებებს მისთვის ახალ ჟანრებში, ეძებს ახალ და ახალ გამომსახველ ხერხებს. ყურადღებას იმსახურებდა 1954 წელს შექმნილი პირველი სიმფონია — სრულყოფილი და მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოები, თუმცა არათანაბარი თავისი მხატვრული ღირსებებით. კომპოზიტორმა აქ საგრძნობლად გააფართოვა თავისი ინტონაციური სფერო. მრავალფეროვნებითა და კოლორიტულობით გამოირჩეოდა სიმფონიის პარტიტურა.

ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ცინცაძემ კვლავ მიმართა თავის საყვარელ ჟანრს, დაწერა მეოთხე სიმებიანი კვარტეტი, რომლითაც დასრულებული გამოხატულება ჰპოვა განვლილი პერიოდის შემოქმედებითმა ძიებებმა. კვარტეტი მოფიქრებულია, როგორც დრამატული ნაწარმოები, აქ კვლავაც აღარ არის ცინცაძის წინა ინსტრუმენტული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი ფაქიზი მინიატურიზმის, ჟანრული სიმუდროვისა და კამერულობის. თუ ადრე კომპოზიტორის „შემოქმედებითი იმპერატივი" უპირატესად გარემომცველი სინამდვილისაკენ იყო მიმართული, მე-4 კვარტეტის მუსიკაში აქცენტი გადატანილია ადამიანის შინაგანი სამყაროს გახსნაზე, მის სულიერ კონფლიქტებზე. კვარტეტის მუსიკა მღელვარე, დინამიკურია, ფორმა — ფართოდ გაშლილი და განვითარებული, კომპოზიტორი ხშირად მიმართავს პოლიფონიურ ხერხებსა და საორკესტრო ხმოვანების იმიტაციას.

მუსიკა თავიდანვე იტაცებს მსმენელს განვითარების დინამიზმითა და ექსპრესიით და ამ დაძაბულობაში ამყოფებს მას ბოლომდე.

ამ ნაწარმოებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ იგი მე-5 კვარტეტის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს, მე-4 კვარტეტისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-სტილისტური ტენდენციები მეხუთეში ბევრად უფრო რადიკალურ გამოხატულებას იღებს. აქ უდავოდ აისახა ის შემოქმედებითი ევოლუცია, რომელიც ცინცაძემ განიცადა უკანასკნელი წლების მანძილზე. წლები, რომლებიც აშორებს მე-5 კვარტეტს თავისი წინამორბედისაგან (იგი 1962 წელსაა დასრულებული), მეტად ნაყოფიერი იყო ცინცაძისათვის. კომპოზიტორი ინტენსიურად მუშაობდა სხვადასხვა მუსიკალურ ჟანრებში, აფართოებდა თავისი მუსიკის იდეურ, თემატიკურ და სტილისტურ ჩარჩოებს, რაც საკმაოდ ნათლად გამოვლინდა ამ პერიოდის ცენტრალურ ქმნილებებში — ბალეტ „დემონში" და განსაკუთრებით მე-2 სიმფონიაში. ორი სიტყვით ეს ევოლუცია შეიძლება ასე ფორმულირებულ იქნეს, როგორც სწრაფვა მუსიკალური ენის მეტი ექსპრესიულობისაკენ და ამავე დროს ინტონაციური განზოგადებულობისაკენ, მხატვრული შინაარსის დრამატიზაციისაკენ, გამომსახველ ხერხთა სიმძაფრისა და უჩვეულობისაკენ. აქ გარკვეულად შეიძლება ლაპარაკი ბარტოკისა და შოსტაკოვიჩის საკვარტეტო სტილის ცალკეული მხარეების შემოქმედებითი ათვისების შესახებ. თავისი მხატვრულ-ემოციური შინაარსით, სტილისტური ორიენტაციით და ჭეშმარიტად ვირტუოზული ოსტატობით მე-5 კვარტეტი ახალი საფეხურია ცინცაძის შემოქმედებითი განვითარებისა.

ფორმის დინამიური გააზრება, დაძაბული დრამატული პულსი, ინტონაციური და ჰარმონიული ენის სიმძაფრე, განვითარების „სიმფონიური" მასშტაბურობა, პარტიტურის თითქმის ორკესტრული ფაქტურა — აი, თვისებები, რომლებიც ცინცაძის წინა მე-4 კვარტეტსაც ახასიათებდა და რაც მეხუთეში კიდევ უფრო მაღალ ხარისხშია აყვანილი. დამატებით შეიძლება აღინიშნოს, რომ განვითარებულ გარეგან ფორმასთან ერთად (იგი მოცულობით ყველაზე ვრცელია ცინცაძის კვარტეტებში) მეხუთე კვარტეტი დიდი შინაგანი კონცენტრირებულობით, მუსიკალურ-დრამატურგიული ჩანაფიქრის ერთიანობით გამოირჩევა, დამუშავებითი ელემენტის სიჭარბე თვით ექსპოზიციურ განაკვეთებშიც კი იგრძნობა და მისი ფაქტურა პოლიფონიურობითა და ოსტატურობითაა გამსჭვალული.

უდავოა, ცინცაძის ახალი კვარტეტი არ აღიქმება ისევე ადვილად და უშუალოდ, როგორც მისი წინამორბედები. იგი მოითხოვს დაძაბულ ყურადღებას და, თუ გნებავთ, გარკვეულ მუსიკალურ ერუდიციას მსმენელისაგან, მაგრამ მით უფრო ნათელი და მკაფიო ხდება კვარტეტის უტყუარი მხატვრული და კომპოზიციური ღირსებები, კომპოზიტორის დახვეწილი პროფესიული კულტურა.

კვარტეტი ხუთი ნაწილისაგან შედგება. მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილები უწყვეტად სრულდება. ნაწარმოების ორი ძირითადი მხატვრული სფერო — ლირიკულ-ფილოსოფიური და გროტესკულ-ექსცენტრიული, უკვე პირველ ნაწილშია გამოვლენილი. იგი ნელ ტემპში მიდის და შორსაა ტრადიციული სონატური ალეგროსაგან თავისი შინაგანი და გარეგანი სტრუქტურით. ორიგინალურია დასაწყისი: ალტის სოლო, სავსე დიდი შინაგანი ექსპრესიით, მიუხედავად გარეგნული თავშეკავებულობისა. ეს ნაწარმოების თავისებური ლეიტმოტივია, რომელიც მომდევნო ნაწილებშიც (გარდა მეორისა) ჩნდება. განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოვლენილი გროტესკული ნაწყვეტი მეორე ნაწილში (სკერცო), რომელშიც კომპოზიტორი საკვარტეტო ინსტრუმენტობის საკვირველ ოსტატობას ამჟღავნებს. მკვეთრ კონტრასტს შეადგენს მის მიმართ მესამე ნაწილი — ანდანტე, ყველაზე ღრმა და გამომსახველი ნაწარმოებში. ეს არის ღრმად ტრანსფორმირებული მხატვრული სახე, რომელიც განვითარების პროცესში დრამატიზაციას განიცდის. შესანიშნავია ამ ნაწილის დასკვნითი ეპიზოდი, სადაც კომპოზიტორი ჩელოს სიმის სპეციალური გადაწყობით ტიმპანის ყრუ დარტყმების ნამდვილ ილუზიას ქმნის. დასკვნით ნაწილებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზემოხსენებულ ლეიტმოტივს, რომელიც კულმინაციურ მომენტში ძალზე გამომსახველად, დიდი ექსპრესიით ჟღერს.

მეხუთე კვარტეტი არაერთხელ და დიდი წარმატებით შესრულებულა თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში, ტალინში და სხვა ქალაქებშიც. იგი შევიდა ისეთი ცნობილი ანსამბლების რეპერტუარში, როგორიცაა კომიტასისა და რიმსკი-კორსაკოვის სახელობის კვარტეტები. ახლახან მოსკოვში გამოიცა ფირფიტა მისი ჩანაწერით.



ცინცაძის მეხუთე კვარტეტის რეზონანსმა გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. საკმარისია ითქვას, რომ 1963 წ. პარიზში იუნესკოს მიერ მოწყობილ კონკურსზე, რომელზეც 90 ნაწარმოები იყო წარდგენილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, იგი აღმოჩნდა 12 პრემირებულ ნაწარმოებთა შორის. სპეციალური გადაწყვეტილებით მისი ჩანაწერი დაეგზავნა მრავალი ქვეყნის რადიომაუწყებლობას პროპაგანდისათვის. შესრულდა იგი პრაღაშიც.

მეხუთე კვარტეტი შემოქმედებითი შთაგონებისა და დიდი საკომპოზიტორო ოსტატობის ნაყოფია და მისი რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენა ნაწარმოების ღირსებების ჭეშმარიტი აღიარებაა.

გულბათ ტორაძე

სოფელში წავალ

თეიმურაზ ადეიშვილი

სოფელში წავალ უკვე ხვალიდან,
თორემ დავცილდით ერთურთს
სრულებით.
მომეგებება კართან მამიდა,
ამავსებს ქვეყნის საყვედურებით.

როგორ მომწყურდა... მე აი ახლა
მივეხვეოდი ხეებსაც ძმურად.
...რომ ვერ მივიდე ოდის სვეტს, დახრავს,
კიბის ქვეშ ჯაჭვით დაბმული მურა.

ვეზიარები სოფლის ბარაქას,
ველზე აჟღინძულ ყვავილებს — ღილებს
უნდა ვუამბო ჩვენს ძველ „თამარ
ქალს",
როგორც სვანები უამბენ „ღილეს".

ჩამოუქროლებს ყანებს მაღლიან,
დამითრობს ბაღის ჩურჩული ტკბილი.
იქ, სადღაც სახლის სხვენზე აგდია,
ბავშვობის დროის მიცვლილი ქბილი.

იქ ზამთარ-ზაფხულ ტრიალებს მუდამ,
კვეხზე დამხმარი მწყემსების სუნი,
რაც უნდა დაჯდეს, წავალ, ვერ უნდა,
გულხიაკვეთით სოფელა მთხოვს გული.

ისევ ლოდინი

მთვარისა კერესელიძე

გული, როგორც მწყემსები მთაში
დიდ ზამთრის შემდეგ ელიან დარებს,
ხან ვუკვდი ღრუბლებს საწვიმრად
გაშლილს,
ხანაც ღრუბლებში მიმალულ მთვარეს.
გული თანხმობას ამბობდა მუდამ,
როცა ბაგენი იტყოდნენ არას,
ჩვენს სიახლოვეს უცნობი ისე,
როგორც ულიან მწყემსები ფარას.
და მინდა ფიქრი დამრჩენდა მუდამ,
ვით განახლების პირველი გარდი,
ეს სიაპრილე მე შენთვის მსურდა
და მაინც მხოლოდ მოლოდინს ვკვდი.
მოველ ვით წვიმა ჩამოდის მაღლით,
რომ დაეკვროს მწვანე ბალახებს
და დამხვდა შენი ფიქრების სახლი,
ჩემი საბაღე და სავენახე.
არ მომწყენია იქვე და დარდი,
ქალი ვარ, მაგრამ ვარ ერთგულება,
მე შემიძლია გაზაფხულს ვკვდე,
რომ შეუძლია ყინვის განადგურება.
მე შემიძლია ცრემლს ვუკვდე მხოლოდ
და ვიყო მხოლოდ ცრემლივით სუფთა.
მე შემიძლია, ბოლოსდაბოლოს,
შემომდეს შენი ამაყი სუნთქვა...
და ვიყო ისე საოცრად მკაცრი,
რომ არ ვუსმინო მერცხლებს და
ჩიტებს,
რამეთუ სუნთქვა ალალი კაცის,
ამოუწურავ სიხარულს იტევს.
ახლა კი, როცა ისევ ვარ მარტო
და ამ სტრიქონებს სიამით ისმენ,
სხვა მოლოდინი ჩვენს გულებს ათბობს,
ისევ ლოდინი, ისევ და ისევ.

იროდიონ ქუჩეარაძე

მოთხრობა

ძილი არ ეკარებოდა. აფორიაქებული იყო. მის ცხოვრებაში არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა. ევამ, როგორც მრავალმა სხვამ, ბინა მიიღო. ერთ თვეს დიდ გაწამაწიაში იყო. უკანასკნელი ლურსმანი მიაჭედა კედელზე სურათის ჩამოსაკიდებლად და მარტო დარჩა. მეგობრები შემოეცალნენ. გასაკვირი არაფერი ჰქონია, მაინც ღამორიალობდა ბინაში. წვრილმან ნივთებს ადგილს უცვლიდა. თავისი მარტოობის დავიწყება სურდა. ვერ მოახერხა, სევდამ შეიპყრო...

რა ჰქონდა სადარდო?.. თითქოს არაფერი. ბევრი შენატროდა მის საზოგადოებრივ მდგომარეობას. ხშირად ავალებდნენ მოხსენების გაკეთებას, მონაწილეობას იღებდა უცხო თუ შინაური სტუმრების მიღება-მასპინძლობაში. ამ საქმიანობაში ევას დრო შეუმჩნევლად გაეპარა. კეთილისმსურველები არ ახვედრებდნენ მწყინვარე შეკითხვებით. ბინის მიღების შემდეგ განსაკუთრებით აღარ ეშვებოდნენ.

არა, გადადება უკვე აღარ შეიძლება, თუ უნდა რომ ქმარშვილი ჰყავდეს. ევა ახლა მწარედ ნანობს, გარეგნობით მომხიბვლელი ბედი თავიდანვე რომ დააფრთხო. სამამულო ომი მთავრდებოდა, საშუალო სკოლა რომ დაამთავრა. წარმტაც, ეშხიან ქალიშვილს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, თავისი ტოლები, თანაკლასელები, მაგრამ ევა უპირატესობას არავის აძლევდა. პირველ მოწაფედ ითვლებოდა და მეცნიერულ შრომას სურდა დასწაფებოდა. გათხოვებას ყოველთვის მოასწრებდა.

ომის უძღები ხანა ვაჟკაცთა სულ ახალ-ახალ ნაკადს ნთქავდა. ევას უცბად შემოეცალა გარშემო ახალგაზრდობა. მაშინ იგრძნო, როგორ დაცარიელდა, უშინაარსო გახდა ვაჟთა გაუმჟღავნებელი სიყვარულით განათებული მისი ცხოვრება. თანატოლებიდან ერთადერთი ადამიღა დარჩა... მაგრამ იგი ევას არ ეთამაშებოდა. სხვები რომ ფარვანად თავს ევლებოდნენ, ადამი განაპირებული იყო, თითქოს ევას თვალთა სითბო მის გულს არ გაჰკარებიაო.

ევა ყოველი თავისი კლასელის ჯარში წასვლას გულდათუთქული ხვდებოდა. თავის ოთახში მარტო ჩაიკეტებოდა და ამხანაგების გამგზავრებას ცხარე ცრემლებით დასტიროდა. ჭირისუფალივით ყველას აცილებდა. ამ დროს ევას ვერავინ შეამჩნევდა დაღვრემილობას. ამხნევებდა მეგობრებს, ულვაშაკეკრილ ვაჟკაცებს. სთხოვდა და პირდებოდა ხშირი მიმოწერა ჰქონოდათ ერთმანეთთან.

შუქშენიღბული სადგურიდან ჩაბნელებული მატარებელი ზლაზვნით დაიძრა და წყვდიადში მთაინთქა.

ადამ და ევა მარტო დარჩნენ. სადგურის მიტოვებას არ ჩქარობდნენ. ერთმანეთს არაფერს ეუბნებოდნენ. თვალცრემლიან ქალიშვილს ცოტაღა აკლდა, რომ ხმამაღლა ეტირა. ჭაბუკიც გულში დაგუბებული ბოღმით იგუდებოდა.

— ევა, წავიდეთ! — უთხრა ქალიშვილს.

სიბნელეში ფრთხილად მიდიოდნენ, მაგრამ ევამ მოულოდნელად წაიბორძიკა, შეშინებულმა, არ წავიქცეო, ვაჟს მკლავზე წაავლო ხელი.

— ყველა შემოგვეცალა, მხოლოდ შენ დარჩი... — თქვა ევამ.

ვაჟს არაფერი უპასუხნია, ღრმად ამოიოხრა და ნაბიჯს აუჩქარა...

— ნუ გარბიხარ, დავეცემი...

ადამმა ნაბიჯს უკლო.

— დედისერთა ხარ, შენ არ წაგიყვანენ...

— სამხედრო კომისარიატის უწყება უკვე მივიღე...

— არა, არა, არ გაგიშვებ... — და ევამ ინსტინქტურად ადამს მოუჭირა ხელი.

ამ მოულოდნელი საქციელით გაოცებული ვაჟი ათრთოლდა...

— ჩემო კარგო! — ჩაიდუდუნა ადამმა და მთრთოლვარე ევას თვალებში ჩაჰხედა. ქალიშვილი შეკრთა. ერთხანს გაშეშებული იდგნენ.

— წავიდეთ! — ძლივს დაარღვია სიჩუმე ვაჟმა.

უხმოდ გაჰყვნენ ქუჩას.

ჩაბნელებული სახლის ფანჯრიდან სინათლე გამოკრთა. მაშინვე გაისმა ღამის მორიგეთა საყვედურის ხმა. სინათლე მაშინვე ჩააქრეს.

— რა მექნება უშენოდ?... თქვა ევამ.

— ნუთუ ასეთი ბედნიერი ვარ, ევა, ჩემი წასვლა გაღელვებს...

— კი არ მაღელვებს...

გულაჩქარებული ვაჟი შეჩერდა, ევას ხელი გაუშვა. ქალიშვილი მიხვდა, რომ წინადადება სწრაფად უნდა დაემთავრებინა.

— კი არ მაღელვებს, მანადგურებს...

— ნუთუ სულ ცოტათი მაინც გიყვარვარ?..

ევამ არაფერი უპასუხა.

— სიზმარია?!

— დაგელოდები... — ძლივს თქვა ევამ.

— დამელოდები! რა ადვილად ითქმის... თითქოს ფეხბურთის საცურებლად მივდიოდე...

— აბა, რა გითხრა?..

— სამ დღეში სამხედრო სკოლაში მგზავნიან, იქიდან კი ფრონტზე, თუ გინდა დამელოდო, დამელოდე ჩემს ოჯახში.

— რას ამბობ?! ასე უცებად?!

— გთხოვ, ჩემო ევა!

ადამმა ევა ბინამდე მიაცილა. გზაში ერთმანეთისათვის სიტყვა არ უთქვამთ.

— ხვალ მოდი...

— პასუხისათვის?..

ევა დუმდა.

— მოვალ პასუხისათვის... ჩემი მშობლები შენთან მოვიყვანე...

ევამ ვერაფერი უპასუხა. ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

ნერვიულობამ ევა ლოგინში ჩააწვინა. ექიმმა სრული სიმშვიდე ურჩია. საავადმყოფოდ მოსული ადამი ავადმყოფთან არ შეუშვეს...

ფრონტიდან მოუვიდა ევას ადამის ბარათი. ეს იყო და ეს, მერე მისი კვალი გაქრა. სხვების ამბავი ესმოდა: ის გმირულად დაიღუპაო, იგი ჰოსპიტალში წევსო, მან ხელი დაკარგაო... ქუჩებში ძაძებიანი ქალები მომრავლდნენ.

ევამ ფოსტალიონის ჩამოვლის დრო იცოდა და ყოველდღე მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას. მაგრამ ამაოდ. წლები გარბოდნენ, ევამ უნივერსიტეტი დაამთავრა, ასპირანტურაში ჩაირიცხა. ადამისა კი არაფერი ისმოდა. მის მშობლებთან მისვლას ვერ ბედავდა. მათ წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა.

ევას მშობლები გარდაიცვალნენ. გამოიგლოვა ისინი, მაგრამ ადამის გამოგლოვება კი ვერ შეძლო, არ იცოდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. მისი მოლოდინი ავადმყოფობად გადაექცა. ყოველ მამაკაცს, რომელიც ყურადღებას მიაქცევდა, ადამს ადარებდა, და მის გულს ვერავინ იპყრობდა. პირველი კლასიდან სკოლის დამთავრებამდე ერთ მერხზე ისხდნენ. უნივერსიტეტში ერთსა და იმავე ფაკულტეტზე სწავლობდნენ. ადამის საქციელის ყოველ წვრილმანს იგონებდა და გულის ტკივილით გრძნობდა, თუ რამდენი სიყვარული იყო თურმე ჩაქსოვილი მათ ურთიერთობაში. მაშინ ეს მხოლოდ დიდი მეგობრობის გამოხატულება ეგონა. როგორ გულდაწყვეტილი გაისტუმრა!.. ევას სტანჯავდა გაუნელებელი ფიქრი, მისი დაღუპვის მიზეზი მე ვარო. რა საბედისწერო შეცდომა მოუვიდა... რა ბედნიერი იქნებოდა, მისგან ბავშვი რომ ჰყოლოდა. იმ სიყვარულს, რაც ადამისთვის ვერ გაიმეტა, ბავშვს შეალევდა...

ეს ნატვრა სიზმრად გადაექცა. ძილში ბიჭუნას ტირილი ესმოდა. ამშვიდებდა, ელოლიავებოდა, ლოგინში ტრიალით აწეწილ ოქროსფერ თმას ხელით უსწორებდა, ლურჯ ბრიალა თვალებს უკოცნიდა.

„დაიძინე, დაიძინე, ჩემო ოქრო, როგორ ჰგავხარ მამაშენს, მამიკო მალე ჩამოვა და გაგვიხარდება..." ევა სიზმარშივე გრძნობდა, რომ ეს მხოლოდ ფუჭი ზმანება იყო და გამოღვიძებული გულამოსკვნილი დასტიროდა დაკარგულ ბედს, დაკარგულ ახალგაზრდობას.

„ნუთუ ჩემი ცხოვრება ასე უმიზნოდ უნდა გათავდეს?! არც ქმრის სიყვარული, არც დედობრივი გრძნობა. გადავირევი, გავგიჟდები..." ევა განსაკუთრებით ძლიერ შფოთავდა, ახალ ბინაში მარტო-მარტო დარჩენილი.

საზოგადოებაში მეტად სერიოზული ჩანდა. თითქოს მონაზვნის იერით შემოსილი, ისეთი მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, მამაკაცი საამოს ვერაფერს შებედავდა. ვინ იცის, ეგება რომ ჩამოშორებოდა მას, ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი მოუჩნდებოდა. იგი ყველასთვის მხოლოდ საზოგადო მოღვაწე იყო...

გაზაფხული გაზაფხულს სცვლიდა. იფურჩქნებოდა ფერად-ფერადი ყვავილები. ჭიკჭიკა გოგონები და ხალისიანი ჭაბუკები, საქორწინო ფურცელში ჩაბმულნი, ქმნიდნენ ახალ ცხოვრებას. ჩვილი ბავშვები აპარებდნენ მშობლებს, ამშვენებდნენ ქუჩებსა და ბაღებს. ხიდოებლის ჩქეფა ფერადფერი მექანქებისა, ვერც გაჭირვებას, ვერც დალხინებას. მხოლოდ ევა გრძნობდა თავს გარიყულად, ობლად მოხეტიალე ადამიანივით.

— კმარა! — წამოიძახა ევამ, ფიქრებს თავი წაართვა, სავარძლიდან წამოიჭრა, ბინას მოწყენილობით თვალიერება დაიწყო. ყველაფერი თავის ადგილას იყო: ფერების შესანიშნავი შეხამება, ავეჯის განლაგებას წუნს ვერ დასდებდი. გემოვნებით შერჩეული სურათები. ყველაფერი ბზინავდა...

— იმედიანი წვერი-გია... — ჩაილაპარაკა ევამ და ლოგინს მიაშურა, ახალა, საბან-ბალიშში მიეკარ-მოეკარა, საწერ მაგიდაზე დაწყობილი წიგნები აიღ-დაიდო, სავარძელს ფეხი ჰკრა და გადააყირავა... ჭურჭლებთან მიიჭრა, რომ დაემსხვრია. სული ეხუთებოდა. გულდახუთულმა კაბა მკერდზე ჩამოიხია, თმები გაიწეწა...

— ხომ არ ვგიჟდები? — შეშინებულმა სარკეში ჩაიხედა. თვალები აშლეროდა. — არ მინდა, არ მინდა ასეთი დაღარული ცხოვრება... მეყოფა... — ტირილი აუვარდა, თავი ბალიშში ჩარგო, რომ მეზობლებს მისი გულამოსკვნილი ტირილი არ გაეგონათ.

ბოლოს, როგორც იყო, დამშვიდდა და ჩაეძინა. მეორე დილას გვიან გაეღვიძა. ბევრი საქმე მოელოდა, მაგრამ არაფრის თავი აღარ ჰქონდა.

გადაწყვეტილია: წავა შვებულებაში, ჩვეულებრივი ცხოვრების გაგრძელება აღარ შეუძლია. შვებულების, საგარეოდ გამგზავრების საქმე ადვილად მოაგვარა. შეიკერა მხიარული ფერის კაბები. საუკეთესო პარიკმახერს თმა მოდაზე შეაკრეჭინა და წაბლისფრად შეაღებინა. ყველაფერს ამას მალულად აკეთებდა. ამხანაგ-მეგობრებს თავს არიდებდა, რომ მისი ფერისცვალება არ ენახათ. ახლებში გამოწყობილმა სარკეში ჩაიხედა, თავი მოეწონა, თითქოს ათი-თხუთმეტი წლით გაახალგაზრდავდაო. კმაყოფილი დარჩა.

— რა კარგი ქალიშვილია! — თქვა და, თავისი ხმა რომ გაიგონა, შეკრთა, ჩაფიქრდა და სახის იერი შეეცვალა, ხანდაზმულობა დაუბრუნდა. გუნება გაუფუჭდა.

— არ ვარგა, ისევ გაილეწე, გაილეწე... — უთხრა ევამ თავის თავს.

ახლა მან იცის, თავი როგორ დაიმკვიდროს. სხვა კაბა ჩაიცვა, ჩვეულებრივი, მოკლე სახელოებიანი, მკერდი, თეთრი მკლავები გამოუჩნდა... არავისთვის უთქვამს, საგარეოდ სად მიემგზავრებოდა.

შავი ზღვის პირას ერთ-ერთი აგარაკის საუკეთესო სანატორიუმშია. მასთან ოთახში ბინადრობს მოსკოველი სტუდენტი ქალიშვილი ანგელინა, რომელიც პირველადაა საქართველოში და აღტაცებულია ნანახით. ევამ ქალიშვილს თავი ბუღალტრად გააცნო. ანგელინა ევას მალე დაუახლოვდა, ყველა თავის განცდას უზიარებდა. ზღვაში საბანაოდ, სასეირნოდ ერთად დადიოდნენ. ევა ამჩნევდა, რომ მამაკაცთა ყურადღებას იპყრობდნენ, მაგრამ მათ შორის ვინ იყო მთავარი გმირი, ანგელინა თუ თვითონ, ეს ჯერ ვერ გამოერკვია.

ერთ დღეს ანგელინა მარტო წავიდა. ევას ბოდიში მოუხადა, საჩქარო საქმე მაქვსო. ევა ცუდ გუნებაზე დადგა და სასეირნოდ აღარ გასულა. აივანზე იჯდა და მოლივლივე ლურჯ ზღვას გასცქეროდა. ნაწყენს გული ვერ დაუდო, სევდა წამოეპარა. „ანგელინა გამჯობს, მეტი ქალი არა ვარ," — ფიქრობდა ევა.

ქალიშვილი გვიან საღამოს დაბრუნდა აღელვებული. ევას ხმა არ გაეცა. ანგელინამ თვითონ დაიწყო ამბის მოყოლა.

— ევა, რატომ არ მეკითხებით, რატომ დავაგვიანე?

— რა უფლება მაქვს.

— მაგრამ მე მინდა გითხრათ დღევანდელი ჩემი თავგადასავალი. ფოსტაში საინტერესო მამაკაცი, ცოტა ხანშიშესულია, მაგრამ შესანიშნავი მოსაუბრე... აგარაკი სულ დამატარა. გული მწყდებოდა, რომ ჩვენთან არ იყავით.

— მაშინ, ალბათ, ასე კარგად ვერ გაატარებდით დროს.

— რას ბრძანებთ!.. ვფიცავ, ერთი თაიგული თქვენც გამოგიგზავნათ.

— კაი ძია ყოფილა. — გაიღიმა ევამ.

— იმედი მაქვს, რომ თქვენც გაიცნობთ. მოისურვა.

ევამ მეორე დღეს თავის ტკივილი მოიმიზეზა და სასეირნოდ ანგელინას არ გაჰყოლია. არც თუ ძალიან ნაწყენი ქალიშვილი სხვა დამსვენებლებს გაჰყვა.

ევა მიხვდა, ანგელინას ახალგაცნობილი ძია ვინ ბრძანდებოდა. ამ კაცს ყურადღება თვითონაც მიაქცია, იგი ადამს ჰგავდა. ევას შეუნიშნავი არ დარჩენია, რომ ეს ძია მის გაცნობასაც ცდილობდა. ევა კი მასთან შეხვედრას ერიდებოდა. „სწორედ სასაცილო ხარ, ევა! აბა, რატომ გამოეპარე ამხანაგებს, ფერი იცვალე. ხომ ბედის საძებნელად გამოიქეცი თბილისიდან?"

ფიქრებისაგან თავი რომ დაეღწია, მაგიდიდან ჟურნალი აიღო და ფურცვლა დაიწყო. ილუსტრაციებს ათვალიერებდა, თვალი სურათს წააწყდა. სტუდენტებს ესაუბრება, ქალ-ვაჟნი ხალისიანად შესცქერიან, თვითონ კი დიდი ბორიგული ხელში უკავია, ცხვირზე სათვალე ჩამოუცურებია, ახალგაზრდები მომავალს შეხვდარიან, მზად არიან სიყვარულის ზღვაში გადაეშვან, თვითონ კი დგას მათ შორის ფოთოლდაცვენილი, დამჭკნარი ყვავილივით... ამ სურათმა გული აატკინა, ხელი დაარტყა, მერე ჟურნალი გაზეთების ქვეშ დამალა... ადგა. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. ხეტიალი სურდა. კიბეზე დაეშვა... და ანგელინას შეეყარა, ახალგაცნობილი კავალერი თან ახლდა.

— თქვენს წასაყვანად მოვედით. ამ საღამოს ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის კონცერტია.

შემკრთალმა ევამ უცბად ვერაფერი უპასუხა. დაბნეული იდგა.

— ძვირფასო ევა, უარი არ მითხრათ, გული დამწყდება. — ისე გულუბრყვილოდ და ნათელი თვალებით შეჰყურა, რომ ევამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. — რა დაბნეული ვარ, ვერც კი გაგაცანით — გიგი ვარდენის ძე.

ახალგაცნობილებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ევამ იგრძნო ხელის მაგრად მოჭერა. გიგი თვალებში შესცქეროდა.

— ოთახში შევივლი და ახლავე დავბრუნდები, — თქვა ანგელინამ და კიბე აირბინა.

— თქვენი სახე ძალიან მეცნობა, ვინაობა კი ვერ მომიგონებია.

— ამ ნაცნობობას თქვენზე შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია.

— პირიქით... ეს სახე გულში ჩამრჩა...

ევას გაუკვირდა გიგის ასეთი თამამი ლაპარაკი, ეს მის ჭაღარა-შერეულ თმას არ შეეფერებოდა, მაგრამ მისი მშვიდი, გულწრფელი ლაპარაკი მაინც სიამოვნებდა.

— და ახლა ამოტივტივდა?

— დიახ, თქვენთან შეხვედრით, და იმედი მომეცა...

— მე ხომ არ ვიცნობ თქვენს მოწონებულ ქალბატონს...

— ჰგავხართ იმ ქალბატონს...

— გარეგანი მსგავსება მატყუარაა.

— მზადა ვარ მოვტყუვდე.

— ეს კი ნამეტანია. — ევამ ახალგაზრდა ქალიშვილივით გადაიკისკისა.

გიგი გაოცებული შესცქეროდა.

— სასაცილო, მგონი, არაფერი მითქვამს... მაგრამ... გიხდებათ გაცინება!

— მაცინებს თქვენი ჭაბუკური სითამამე.

— სითამამე თქვენ მაჩუქეთ.

— ძალიან მოიხიბლეთ?

— არც უმისობაა...

— მე როგორ მოვიქცე: გავიხარო თუ მოვიწყინო? — კოპწიად შეეკითხა ევა.

— როგორც გენებოთ...

— აკი ბრძანეთ, მოხიბლული ვარო.

— მომავალს მივენდოთ.

— არა, სჯობს, ყველაფერი ახლავე გადავწყვიტოთ! — გამომწვევად, დაცინვით უთხრა ევამ.

— რა ენაკვიმატი ბუღალტერი ბრძანებულხართ!..

— ჩემი ვინაობა უკვე გამოგიკითხავთ.

— როცა ვინმე გაინტერესებს...

— რა მარჯვედ ისროლეთ ბადე...

ევამ კვლავ დაცინვით გადაიკისკისა.

— იძულებული ვარ გაგებუტოთ.

— ნება თქვენია... — უკვე დინჯად უთხრა ევამ.

გიგი გაოცებული დარჩა. წყენა დაეტყო. პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა. ევა გაოცებამ შეიპყრო, მამაკაცთან ასე არასოდეს ულაპარაკია. ნაპერწკლებივით აფრქვევდა სიტყვებს, სიამოვნებდა მამაკაცთან პაექრობა. ვინ არის ეს გიგი?... პაპიროსს აბოლებს და თვალს არ აშორებს.

„ვაიმე, სულ ადამის გამონაჭერი აქვს... ხომ არ მელანდება მასთან უკანასკნელი შეხვედრა?!" — ევამ შეწეწილი თმა ხელით გაისწორა.

— მეც ბუღალტერი გახლავართ, კოლეგები ვართ. აქ სანატორიუმის რევიზია მაქვს დავალებული... დიდ პატივად ჩავთვლიდი, თუ ნებას მომცემდით ზოგჯერ შეგხვდეთ.

ევამ არაფერი უპასუხა. ამ დროს ანგელინამაც ჩამოირბინა კიბე.

— მზადა ვარ.

ევას გაეხარდა ქალიშვილის გამოჩენა. სულზე მოუსწრო, უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანა.

ამის შემდეგ მოაგარაკენი ხშირად ნახულობდნენ კონცერტებზე, ზღვის პირად თუ პარკში მოსეირნე სამეულს. ანგელინა გიგის ძიას ეძახდა, ევას კი ბიძიკოს. მუდამ მოტიკტიკე გოგონას ხალისი შეჰქონდა ამ ორი დახრჩენილი ადამიანის ურთიერთობაში. ზოგჯერ თუ ანგელინა მათ განერიდებოდა, უხერხულობას გრძნობდნენ. პირველი შეხვედრის თამამი ლაპარაკი აღარ ჰქონდათ. თითქოს წინასწარ შეთანხმებულიყვნენ, ევა და გიგი ოჯახური მდგომარეობის შესახებ ერთმანეთს არაფერს ეკითხებოდნენ. ცხოვრობდნენ დღევანდელი დღით, თითქოს სადარდო არა ჰქონდათ რა.

თეთრ ანგელინას ძალიან სურდა მალე გაშავებულიყო. მზის აბაზანებს გულმოდგინედ იღებდა. ერთ დღეს დიდხანს იწვა ზღვის ნაპირზე და მთელი ტანი დაიწვა. სანატორიუმამდე ძლივს მიაღწია. დიდი სიცხე მისცა, ტკივილებისაგან ვეღარ იძინებდა. ერთ კვირას ლოგინად ჩავარდა. მკურნალობა დაიწყო. ევა თავის ავადმყოფს არ შორდებოდა, დედასავით უვლიდა.

მოკეთებულმა ანგელინამ ერთ საღამოს უთხრა ევას:

— აღარ შემიძლია ოთახში ყოფნა. გავიდეთ პარკში... გიგი ვარდენის ძე, ალბათ, როგორ წუხს ჩვენი უნახაობით...

— სწორედ თავს იკლავს, თორემ ერთხელ მაინც მოაკითხავდა ავადმყოფს.

— განსაკუთრებით კი ჯანმრთელსაც...

— ღიმილით დაუმატა ანგელინამ.

ევას, მართლაც, უკვირდა გიგის ასე გადაკარგვა და კიდევ სწყინდა ასეთი უყურადღებობა, მაგრამ იქნებ ავად გახდა — ფიქრობდა.

ევა და ანგელინა მაღლობელ პარკში შევიდნენ და ბნელი კუთხე ამოირჩიეს, რადგან მარტოობა სურდათ. მოსეირნეთა ცქერით ერთობოდნენ. ნაცნობი ხმა მოესმათ.

— გიგი, უნდა იყოს, — წასჩურჩულა ანგელინამ ევას.

გიგი ამხანაგს რაღაცას გატაცებით უყვებოდა. მათი საუბარი ხან სულ არ ისმოდა, ხან კი ხმას აუწევდნენ. ევამ დააყურა.

— მაგრად დაუწვიხარ... იმ ქალს...

— გამაგიჟა... ქალი კი არა, ამოცანაა. თავის შესახებ არაფერს ამბობს: უქმროა, ქმარშვილიანია... არც მე მეკითხება... ერთი კვირაა, არ მინახავს და მოსვენება დავკარგე.

— გამაცანი, ორივემ ერთად იქნებ უფრო ადვილად ამოვხსნათ ამოცანა.

— ვერ გაგაცნობ. მეშინია, არავინ წამართვას... ის, ვინც მე არ მეკუთვნის...

— თუ გაიგო ცოლმა, შავ დღეს დაგაყენებს.

(დასასრული მე-4 გვ.)

ვაჰან ტერიანი

80 წელი შესრულდა გამოჩენილი სომეხი პოეტის ვაჰან ტერიანის (ტერ-გრიგორიანის) დაბადებიდან.

ვ. ტერიანი დაიბადა ახალქალაქის მაზრის მაღალმთიან სოფელ განძაში, სასულიერო პირის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლების მისაღებად მშობლებმა მომავალი პოეტი ჯერ ახალქალაქის რუსულ სკოლაში მიაბარეს, შემდეგ კი თბილისში გაგზავნეს, სწავლის გასაგრძელებლად.

ვ. ტერიანმა 1906 წელს დაამთავრა გიმნაზია და სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1913 წელს, ამ ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ფილოლოგიური და ლინგვისტური ცოდნის გაღრმავების მიზნით სასწავლებლად შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე, სადაც სწავლობს ქართულ, სპარსულ, არაბულ და სხვა ენებს. 1917 წ. იგი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში და მუშაობას იწყებს ეროვნულ საქმეთა კომისარიატში. 1919 წელს მას ირჩევენ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. ვ. ტერიანი გარდაიცვალა 1920 წელს, 7 ნოემბერს ქ. ორენბურგში, როცა ის საბჭოთა მთავრობის დავალებით თურქმენეთში მიემგზავრებოდა.

ვ. ტერიანის პოეტური მოღვაწეობის პირველი პერიოდი დაემთხვა რუსეთის ხალხთა ცხოვრებაში მომხდარ უდიდეს სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს. ეს იყო 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის და მისი დროებითი უკანდახევის პერიოდი, როცა გამეფებული იყო სტოლიპინის რეაქცია. რეაქციის ამ შავბნელმა წლებმა გარკვეული გავლენა მოახდინა მის პოეზიაზე. მაგრამ ამ სუსხიან წლებშიც საკმაოდ მკაფიოდ გაისმის ვ. ტერიანის შემოქმედებაში სამოქალაქო, მებრძოლი მოტივები. ლექსების ციკლში — „ქვეყნის გვირგვინი" — პოეტი ქება-დიდებას ასხამს რევოლუციისათვის თავდადებულ ადამიანებს, ამხნევებს და სულიერ სიმტკიცეს უნერგავს ცარიზმის ციხეებსა და ციმბირში გადასახლებულთ. 1908 წელს თბილისში მან გამოსცა თავისი პირველი ლექსების წიგნი „ოცნება შებინდებისას". ვ. ტერიანის ლექსების ამ კრებულმა გამოსვლისთანავე მიიპყრო სომეხი მკითხველი საზოგადოების ყურადღება. მას აქტიურად გამოეხმაურა იმ დროის სომხური ლიტერატურული კრიტიკა. მომდევნო ლექსების ციკლებში („ღამე და მოგონებანი", „ოქროს ზღაპარი" და სხვ.) მკვეთრად იგრძნობა ბურჟუაზიული სინამდვილით უკმაყოფილო პოეტის წუხილი და სულიერი მარტოობა, იგი ცდილობს გაექცეს კოშმარულ სინამდვილეს და პოეტური ოცნებით „მეორე" სამყაროს, ლამაზ ზღაპრულ სამყაროს ქმნის („მშვენიერი ქალწული", „ოქროს ზღაპარი", „შორეული უცნობი მხარე").

ვ. ტერიანის შემოქმედებაში პატრიოტულ მოტივს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. ჯანსაღი პატრიოტული გრძნობები და სამშობლოს სიყვარულია გამოხატული პოეტის მიერ 1915 წელს შექმნილ ლექსების ციკლში: „ნაირის ქვეყანა". პოეტს უყვარს თავისი ქვეყანა, მისი წარსული, მამაცი ხალხი, რომელმაც ქედი არ მოიხარა აურაცხელი მტრების წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ ერთხანს ვ. ტერიანის შემოქმედებაზე ერთგვარი გავლენა მოახდინა სიმბოლისტურმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ. მაგრამ ვ. ტერიანმა ამ გავლენას მალე დააღწია თავი. 1912 წელს მის მიერ შექმნილ ლექსებში („დაბრუნება" და „მზის ამოსვლა") მძაფრად გამოიხატა ჯანსაღი მოქალაქეობრივი მოტივები, საზოგადოებრივი მოვლენებისადმი აქტიური და ოპტიმისტური დამოკიდებულება, სიცოცხლის ხალისი. პოეტის ეს იდეურ-მხატვრული გარდაქმნა დაკავშირებულია რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობასთან. პოეტმა მიატოვა მარტოობა და „ამაო ფიქრებს" დაუბრუნდა. მის სულში ახლა მძლავრად გაისმის ახალი ხმები. პოეტი სიცოცხლის დაუცხრომელი წყურვილით ხვდება „მზის ამოსვლას", მას სწამს ნათელი მომავალი, სიყვარულით ესალმება ადამიანებს და ძმებს უწოდებს იმათ, ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის.

ვ. ტერიანი, გ. ტაბიძის, ვლ. მაიაკოვსკის და სხვათა მსგავსად ოქტომბრის დიად რევოლუციას სიხარულით შეხვდა. ამ უდიდეს მოვლენას მან მიუძღვნა ლექსების ციკლი „საოქტომბრო სიმღერები". პოეტი უმღერის მუშებს, დემოკრატიას, იგი მგზნებარედ მოუწოდებს მშრომელ ხალხს მტკიცედ დაიცვას თავისი ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო.

ცნობილია, რომ ვ. ტერიანი დიდი გულმოდგინებით სწავლობდა ქართულ ენას, ლიტერატურასა და ისტორიას. ვ. ტერიანის მიერ „ვეფხისტყაოსნის" შესავლის სომხურად თარგმანმა ნ. მარის კარგი შეფასება დაიმსახურა და ამ პოემის სომხურად თარგმნის ცდებს შორის დღემდე მიუწვდომლად ითვლება. ასევე მაღალმხატვრული ოსტატობით აქვს თარგმნილი მას აკ. წერეთლის ლექსი „კანტის სიმღერა".

ვ. ტერიანის შემოქმედებას ქართველი მკითხველი საზოგადოება ოციან წლებში გაეცნო. ამ ხანებში სისტემატურად ითარგმნება ქართულად მისი პოეზიის ნიმუშები და ქვეყნდება წერილები მისი შემოქმედების შესახებ.

ვ. ტერიანის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ-სომხურ ლიტერატურული ურთიერთობის გაფართოების და თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ბონდო არევაძე

მებრძოლი ლიტერატორი, დაუვიწყარი მეგობარი

დავით დემეტრაძის დაბადების 60 წლისთავი

ოციანი წლების დამლევსა და ოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ახალგაზრდა ნიჭიერ ლიტერატორს — კრიტიკოსს, ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს დავით დემეტრაძეს. იგი იყო ფრიად ერუდირებული, ენერგიული, აქტიური და უაღრესად პრინციპული მწერალი-კრიტიკოსი, რომელიც გულწრფელად და ერთგულად ემსახურებოდა ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებას, ჩვენს ლიტერატურაში თანამედროვეობის თემატიკისა და ჩვენი ეპოქის ნათელი იდეალების დამკვიდრების საქმეს.

ქართული მწერლობის სარბიელზე მან 22-23 წლის ახალგაზრდამ შემოდგა ფეხი და თავის სამოღვაწეო სფეროდ ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია აირჩია. ქართული და რუსული კლასიკური მწერლობის საკითხებზე დაწერილმა მისმა პირველმავე წერილებმა ყურადღება მიიპყრო სოლიდური ერუდიციით, განსახილველი მასალის გულმოდგინე შესწავლით, ლიტერატურულ მოვლენათა ანალიზის სწორი მეცნიერული მიმართულებით, სოციალისტური ესთეტიკის დებულებათა მართებულად მოშველიების უნარით.

განსაკუთრებით თვალსაჩინო და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა დ. დემეტრაძემ ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე დაიწყო. მაშინ იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებაში მუშაობდა და ამავე დროს მთელს რესპუბლიკურ პრესაში მებრძოლი წერილებით გამოდიოდა საბჭოთა ლიტერატურის უაღრესად აქტუალურ საკითხებზე. ეს წლები მეტად რთული და მნიშვნელოვანი პერიოდი იყო, როგორც მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის, ისე კერძოდ ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიაში. ამ დროს სოციალიზმის დიადი გამარჯვებებით შთაგონებული ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები უკვე ერთსულოვნად იზიარებდნენ კომუნისტური პარტიის იდეურ პოზიციებს და თავიანთი შემოქმედებით აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობაში. იქმნებოდა საბჭოთა ლიტერატურის სასიცოცხლო ძალების იდეური კონსოლიდაციისა და გაერთიანების პროცესი. ნიადაგი ეცლებოდა ყოველგვარ სექტანტურ კარჩაკეტილობას, ერთმანეთისაგან გათიშულ და ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სამწერლო გაერთიანებათა და დაჯგუფებათა არსებობას. და სწორედ ამავე წლებში პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელიც დიდხანს წარმოადგენდა პარტიის ძირითად დასაყრდენს ლიტერატურის დარგში და უაღრესად დადებით როლსაც ასრულებდა სოციალისტური მწერლობის განმტკიცების საქმეში, — უკვე საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი კანონზომიერი განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი ხდებოდა და ამჯერად წინ ეღობებოდა ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის იდეურ-შემოქმედებითი გაერთიანების პროცესს. ჩვენი მწერლობის განვითარების ინტერესები დაჟინებით მოითხოვდა „რაპპის" მცდარი შეხედულებების მხილებას, მათი მანკიერების გარკვევას და დახასიათებას, ახალ ისტორიულ ვითარებაში მწერლობის შემდგომი აღმავლობის გზების გამოკვლევას.

და სწორედ ამ სფეროში იჩინა თავი დავით დემეტრაძის ლიტერატურულ-კრიტიკულმა ალღომ, მისმა ნათელმა აზროვნებამ და ბრძოლისუნარიანობამ. კითხულობთ ახლა დ. დემეტრაძის წერილებს და გაკვირვებთ მისი მსჯელობის თანამედროვეობა, უკომპრომისო პრინციპულობა, მებრძოლი პათოსი, ჩვენი მწერლობის ბედით, მისი მომავალით მღელვარე დაინტერესება.

1932 წლის 23 აპრილის თავისი ისტორიული დადგენილებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გააუქმა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, ყველა სხვა განცალკევებული ორგანიზაციები მწერლობისა და ხელოვნების დარგში, და ქმედითი ღონისძიებები დასახა სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო მთელი ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის ერთსულოვანი შემჭიდროებისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელება დიდ თეორიულ, ლიტერატურულ-კრიტიკულ და ორგანიზაციულ მუშაობას მოითხოვდა. როგორც ცნობილია, ამ მუშაობას ორ წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე 1934 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში შეკრებილიყო სსრკ მწერალთა პირველი ყრილობა საბჭოთა მწერლობის ერთიანი კავშირის შესაქმნელად. ამ ყრილობისათვის სამზადისის პერიოდში წარმოებულ გაცხოველებულ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა დ. დემეტრაძე, ჯერ როგორც „ლიტერატურული გაზეთის" რედაქტორი, ხოლო შემდეგ, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის პირველ მდივნად მუშაობდა, ხოლო ამავე დროს რედაქტორობდა ხან ჟურნალ „მნათობს", ხან ახალგაზრდა მწერლობისათვის დაარსებულ ჟურნალ „ჩვენ თაობას". ამ დიდ და მრავალფეროვან, უაღრესად რთულ და საპასუხისმგებლო მუშაობაში დ. დემეტრაძე მარტო იმით არ გამოირჩეოდა, რომ საქმის ცოდნა და [illegible] მიერ წამოჭრილი ლიტერატურული პრობლემების სიღრმეში წვდომის უნარს კი არ იჩენდა, არამედ სამაგალითო ტაქტსა და ობიექტურობასაც.

დ. დემეტრაძემ უშუალო მონაწილეობა მიიღო იმ მართლაც და ისტორიული მნიშვნელობის მოხსენების დამუშავებაში ქართული ეროვნული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შესახებ, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ქართველი ბოლშევიკების უფროსი თაობის ერთ-ერთმა შესანიშნავმა წარმომადგენელმა მალაქია ტოროშელიძემ წაიკითხა საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მწერლების პირველმა საკავშირო ყრილობამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობისადმი. მოსკოვისა და ლენინგრადის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ სურვილი გამოთქვა უფრო ახლოს გასცნობოდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის მიღწევებს. საჭირო გახდა მოსკოვსა და ლენინგრადში ქართული პოეზიის საღამოების გამართვა. ამ მიზნით ხსენებულ ქალაქებში მივლინებულ იქნა საუკეთესო ქართველი პოეტების დიდი ჯგუფი. დ. დემეტრაძე ხელმძღვანელობდა ქართველი პოეტების ამ მეტად მნიშვნელოვან მოგზაურობას. მათ მიერ გამართულ ლიტერატურულ საღამოებზე დ. დემეტრაძე გამოდიოდა მოხსენებებით ჩვენი ეროვნული პოეზიის სახელოვანი კლასიკური ტრადიციებისა და თანამედროვე მიღწევების შესახებ.

დ. დემეტრაძე მონაწილეობდა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის იმ პლენუმის მუშაობაში, რომელიც საბჭოთა ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში გაიმართა და საბჭოთა პოეზიის საკითხებისადმი იყო მიძღვნილი. ამ პლენუმის მუშაობის დამთავრებისთანავე დ. დემეტრაძემ ჩვენს რესპუბლიკურ ქართულ და რუსულ პრესაში გამოაქვეყნა წერილების სერია, რომლებშიც საკავშირო პლენუმის შედეგებთან დაკავშირებით განიხილავდა ქართული საბჭოთა პოეზიის მდგომარეობას, მისი შემდგომი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობის ამოცანებს. ეს წერილები ჩვენი პოეზიის იდეურობისა და ხალხურობის, დიდი პროფესიული ოსტატობისათვის ბრძოლის კეთილშობილური პათოსით იყო გამსჭვალული. კრიტიკოსის ამ გამოსვლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოცდაათიანი წლების ქართული პოეზიის განვითარებისათვის.

დ. დემეტრაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ ბრძოლაში, რომელიც ამ პერიოდში პარტიამ გააჩაღა საბჭოთა ლიტერატურაში ფორმალიზმისა და ნატურალიზმის რეციდივების წინააღმდეგ. საქართველოს მწერალთა კავშირში ამ საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიაზე, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, მთავარ მომხსენებლად დავით დემეტრაძე გამოვიდა. წერილებად გადამუშავებული ეს მოხსენება გამოქვეყნებული იყო ლიტერატურულ პრესაში. ამ წერილების გაცნობა გვიჩვენებს, თუ რაოდენ სერიოზული, განათლებული და პრინციპული კრიტიკოსი ჰყავდა ოცდაათიანი წლების ქართულ მწერლობას დავით დემეტრაძის სახით.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობა არ მიეღოს ამ ნიჭიერსა და ენერგიულ ლიტერატორს. იგი დიდ მუშაობას ეწეოდა შოთა რუსთაველის გენიალური პოემის 750 წლის იუბილისათვის სამზადისის პერიოდში. საიუბილეო დღეებში თბილისში მოწვეულ სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმზე დ. დემეტრაძეს დავალებული ჰქონდა მოხსენება ქართული საბჭოთა ლიტერატურის შესახებ. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა მონაწილეობა მიეღო ამ იუბილეში, რომელიც მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის საყოველთაო სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. იგი, ისე როგორც ბევრი სხვა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ცილისმწამებლურად იქნა რეპრესირებული 1937 წელს. მაშინ, როდესაც ეს უაღრესად ნიჭიერი და აქტიური ლიტერატორი შესული იყო თავის შემოქმედებით შესაძლებლობათა სრული დავაჟკაცების ასაკში. დავით დემეტრაძისა და მისი ძმის — ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის აგრეთვე თვალსაჩინო მოღვაწის კონსტანტინე დემეტრაძის ნაადრევი დაღუპვა იმ უბოროტეს დანაშაულობათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც მიუძღვის ჩვენი სამშობლოსა და ხალხის წინაშე სახელგატეხილ ავანტიურისტ ბერიას და მისი დამქაშების სისხლიან ხროვას.

უკანასკნელად დ. დემეტრაძე საქართველოს მუზეუმის დირექტორად მუშაობდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიის ამსახველი იმ დიდი გამოფენის მოწყობას, რომელიც „ვეფხისტყაოსნის" იუბილისადმი იყო მიძღვნილი. ისიც აღსანიშნავია, რომ დ. დემეტრაძე მონაწილეობდა საშუალო სკოლისათვის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოთა შედგენაში.

მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში აქტიურად მონაწილე, ცხოვრების მიერ წაყენებული აქტუალური ლიტერატურული პრობლემებით გატაცებულ ახალგაზრდა ლიტერატორს არ დასცალდა ვრცელი, კაპიტალური ნაშრომების შექმნა ჩვენი მწერლობის ისტორიისა თუ თანამედროვე მდგომარეობის საკითხებზე. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა იმ თვალსაჩინო წვლილის დავიწყება და იგნორირება, რომელიც დ. დემეტრაძემ თავისი ხანმოკლე მოღვაწეობით შეიტანა ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებაში.

ახლა, როცა დ. დემეტრაძის დაბადების 60 წლისთავს აღვნიშნავთ, ჩვენს თვალწინ ცოცხლად წარმოდგება გარეგნული მშვენიერებით და სულიერი სიმდიდრით დაჯილდოებული ამ შესანიშნავი პატრიოტის, მებრძოლი ლიტერატორის, ბრწყინვალე მეგობრის და საყვარელი ამხანაგის სახე, ადამიანისა, რომელმაც [illegible] თავისი პატრიოტული ვალი სამშობლოსა და მშობლიური კულტურის წინაშე.

ბესარიონ ჟღენტი

ლექსები

ევგენი ვინოკუროვი

* * *

როცა მეგობრებს სუფრასთან შევკრებ,
კიდეში რიგით დაჯდები, უსმენ.
წარსულს, მომავალს ვახსენებთ,
შემდეგ —
აწმყოს და... თეფშებს მოვკვიტან
უცებ.

ფილოსოფოსი ძმები მყავს მართლაც,
ერთმანეთს სიტყვებს ახლიან შუბად,
ხმამაღლა როცა ისვრიან სარკაზმს,
შენ მაშინ მუჭში ამოქნარებ ჩუმად.

თვალებში გატყობ, შენ გენაცვალე,
რაც ოქვი ღიმილს შეთამაშებით:
„დაე იყვირონ, სულ მალე წავლენ,
მე და შენ ისევ ერთად დავრჩებით".

* * *

ბრძოლით გაველით დუნაის მხარეს,
გვიან ღამეში ვაბამთ საუბარს
ზის საკვამურზე და სცივა მთვარეს,
ყინვას შუშაზე ბადე გაუბამს.

ტრამალებიდან ქედამდე, სადაც
იწყება უცხო, შორი მთაბარი,
თოვლის ქვეშ თვლემენ, თოვლის
ქვეშ წვანან
გზები, ჯერ ისევ ომით გამთბარი.

თავმოყვარეობა

თავმოყვარეობავ, ოდნავი ხველებით
მარშის დროს ცივ ოფლს მასხამდი
ტანზე
და ჯარისკაცულ [illegible] რეცვით
დაუვიწყარი ახელს გზაზე.

განა ჯილდოსთვის, განა ფულისთვის
ვიღრღნიდი თითებს, ვკვნეტდი
ტუჩებს,
მხოლოდ შენი გულისთვის
ვეხვეწდი სუფთა რვეულის
ფურცლებს.

მაშ რად დამჩემდა, სად გავიცანი
ერთთან კვირაში ასჯერ დარეკვა...
ნუთუ ნამდვილად არა მქონია,
არც გამაჩნია თავმოყვარეობა?

თარგმნა **ოთარ ჭელიძემ**

სისხლი

იმ სითხეს, რომლითაც სხეული
ძღება,
რომელიც ნიადაგ ძარღვებში
მდინარებს,
ახასიათებს ისეთი თვისება,
ახასიათებს, როგორც მდინარეს,
ხანდახან [illegible]
წყვეტით
და მის მოძრაობას აჩქარებს ძლიერად,
ხანდახან [illegible]
ერთიანად
და თან მოიხვეტავს ლოდებს და
ქვიშას.

როდესაც ძილისთვის მიმიწვევს
ლოგინი,
მესმის: [illegible]
და ხიდვა-დახშული სხეულში
ბოგინობს
და ტალღებს სხეულის კედლებზე
ახეთქებს.

კანი გაიკაწრე ოდნავ და გამოვა,
გამოვა თბილი და ოდნავ წებოვანი
და შიგ ვით ლუპაში ეცდები ამაოდ
იხილო ცუდი ან დიდებულოვანი.

და მას გააჩნია ისეთი ჭავლები:
გულზე გადაირბენს უეცარ ტკაცანით
და მცირე ბალღებიც გმირობას
ელტვიან
და ეშაფოტებზე ავლენ ვით კაცები!

იგია, კლდეთაგან ისროდა რომელიც,
მღელვარე ტალღებში ტრფიალით
ტანჯულებს,
და ამასთანავე [illegible]
შველოდა გრიგალში მომწყვდეულ
კანჯოებს.

და დასაბამიდან ვიდრე
დღევანდელამდე
არა უწმინდესი წყაროთი, არამედ
სირცხვილ მეწამული სისხლივით
ისახნენ.

უნდა ვაღიარო, ეს დაუფარავად,
იგი დახაზული გზებით ხეტიალობს,
მიწის სიღრმეების ლონით აღვსებული,
და კაცის გონებას რაც ეპატება
მისთვის იგი არის შეუთავსებელი.

როდესაც სამყაროს მოიცავს
წყვდიადი,
სუნთქვაშეწყვეტილი სმენად
გარდავიქცევი,
და მესმის სისხლი თუ როგორ
წრიალებს,
როგორ ნაწილდება და მიმოიქცევა,
ნეტა მას მღელვარებს რომელი
[illegible]

ჩემი დიდი-პაპა არ იყო უთავრო,
იყო ბეჩავი და ნიადაგ ლოთობდა
და გადმომილოცა სისხლი
ბეჩავური.

მან ცხოვრებაში ვერ [illegible] —
ცხოვრება გალია გზებით [illegible],
იყო [illegible]
და ხალის ხეტებზე [illegible]

[illegible]
[illegible] ბედაურებს ხტენით
აჭენებდა,
ვერაგულებელნი რბიდენ ბედაურნი.

იგი [illegible] ფარით ხელს
გალიდა.
შოლტებით ხაყურ ნებას
გაუსწვდა,
ემლიც, ჩემს სხეულში მიხვეს
[illegible]
წითელი ცხენები რბიან
განუწყვეტელად.
სისხლი დამთავრებს სხეულში
მრაურობას,
გადაიქცევა, წამით შეიხვენს,
და გადაიქცევა მან შთამომავლობას
რათა იწრიოს, იწვალოს ისევ.

თარგმნა **შოთა ჩანტლაძემ**

შეხვედრები ქართველ მხატვრებთან

პარიზის შთაბეჭდილებები

საკმაოდ მუქი ფერწერული ტილო შესრულებული ქართველი მხატვრისათვის დამახასიათებელი თუ მონათესავე მანერით. დეკორაციულ-პირობითი კომპოზიციით და თემითაც, რომელიც ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრების სცენას წარმოადგენდა „დუქანთან" ზურნა-დუდუკზე მოქეიფეთა და „დუქნის" ვიტრინაზე თბილისურადვე აბრად მიხატული ცხვრის თავის გამოსახულებით.

დამაინტრიგა ავტორის ვინაობამ და სურათზე უმალ მოვძებნე ხელმოწერა — „ფ. ვარლამიშვილი".

მხატვარზე ბევრი რამ მსმენია უფროსი თაობის მხატვრებისაგან და ბიბლიოგრაფიულ მასალებშიაც არაერთხელ ამომიკითხავს მისი სახელი. მაგრამ, ყველა ეს ცნობები მხატვრის ბიოგრაფიის დროინდელი იყო და მისი შემოქმედებითი [illegible] შესახებ კი არარა გამიგია რა.

და აი, ფილიპე ვარლამიშვილი ჩემს წინ არის. შესაძლებლობა მაქვს პირისპირ მჯდომმა მოვისმინო და უბის წიგნაკს გავანდო მისი ცხოვრების რამდენიმე ფურცელი.

ძნელად საოქმელია, დაბალი ტანისაა თუ ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს სითამამემოკლებული, დაძაბულობას თანდაყოლილი თავაზიანობით [illegible] და უჭირს საუბრის დაწყება. შემდეგ თითოეული სიტყვის [illegible] და გულთანხმება კიდეც, რომ სამშობლოდან შორს ყოფნას მნიშვნელობა ეკარგება და ძალიან [illegible] მხატვრის შემოქმედება.

ვგრძნობ, რომ ახარებს და უყვარს მისი გახსენება. ნამუშევართა შექმნა კი [illegible] უნათებს და [illegible] მის თვალებს, თბილად და სევდიანს.

ავტობიოგრაფიის ხსენებაზე ერთხანად იმშუშება, და შემდეგ კი ლამაზი ქართულით, ხანა-ხანა და [illegible] თავგადასავალს: პარიზში 1928 წელს ჩამოვიდა. მანამდე თბილისში ცხოვრობდა, სადაც მისი თქმით ახალგაზრდობის საუკეთესო წლები დატოვა.

ქუთაისში დაბადებულს (1903 წ.), იქვე დაუმთავრებია რეალური სასწავლებელი და საქართველოს დედაქალაქში მხოლოდ უნივერსიტეტში მეორე წელს (1920 წ.) ჩასულა.

საქართველოში სამხატვრო აკადემიის გახსნამ ძირფესვიანად შეცვალა ფილიპე ვარლამიშვილის ცხოვრება. შესანიშნავად მიატოვებია უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი და შემოქმედის რთულ და სიძნელეებით სავსე გზას დადგომია.

მან 1927 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, სადაც გრაფიკაში — ი. შარლემანი და ფერწერაში — ე. ლანსერე ხელმძღვანელობდნენ. იგი მათთან მეგობრობით ეზიარა ხელოვნების რეალისტურ საფუძვლებს და დღესაც დიდად უღირს ამ ნაკადალი მხატვარ-პედაგოგთა სახელის ხსენება.

ფ. ვარლამიშვილი თავიდანვე ბევრს მუშაობდა — ხატავდა და [illegible] ახაზავდა აკადემიისათვის. დარწმუნებულიც არის: ადრეული ნამუშევრები და მისი [illegible] დღესაც მოიძებნებიან საქართველოში.

უცხოეთში კი მართლაც რომ მეტად გაუჭირდა, განსაკუთრებით პირველ ხანებში. ამიტომაც ვერც სწავლა განაგრძო და, ყოველდღიურ ლუკმა-პურის საშოვარზე მოფიქრებმა, გულისყური ვერც საყვარელ საქმეს მიანდო მთლიანად.

მაგრამ, ჯიუტი იყო და 1933 წელს [illegible] შეძლო საკმაოდ ვრცელი პერსონალური გამოფენის მოწყობა იმ ხანად პარიზში არსებულ ერთ-ერთ პატარა გალერეაში, რომელსაც ესპანურად „იბეჯი" (სპირანსა) ერქვა.

ამის შემდეგ სხვა სალონებშიაც გამოფენია ნამუშევრები, ხოლო 1945 წლიდან „შემოდგომის სალონის" წევრიც გახდა და უფლება მიიღო ამ სალონში ჟიურის ნებადაურთველად გამოფენისა, მით უფრო, რომ მალე ჟიურის შემადგენლობაშიაც შეიყვანეს.

[illegible] გამოფენაც მოეწყო გალერეა „რუ გენელში" 1947 წელს, მაგრამ მაინც იძულებული გახდა პარიზი დროებით მიეტოვებინა. სამხრეთ ამერიკაში 1948 წელს ჩავიდა. ორ წლამდე დაჰყო ბუენოს-აირესში და პერსონალური გამოფენებიც გამართა, რომლებმაც საზოგადოებისა და პრესის ყურადღება დაიმსახურა. მაგრამ ისევ პარიზმა დაიბრუნა 1952 წლის დამლევს და „შემოდგომის სალონშიაც" აღადგინა თავისი მოღვაწეობა.

დაფასება? მხატვარს ეღიმება. მის სურათებს დროდადრო სახელმწიფო ყიდულობს. სამი სურათი — „ნატურმორტი", „მშობიარობა" და „სოფლის სიცხე", ჯერ კიდევ 1947 წელს შეიძინეს, ხოლო 1954 წელს სამი გუაში — კომპოზიცია ქალაქზე შეიძინა.

ფილიპე ვარლამიშვილი აშკარად მოკრძალდება, თავისი შემოქმედების შეფასების საკითხს [illegible] და მხოლოდ აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ერთ-ერთ პროვინციაში — ქ. სერში გახსნილი მუზეუმის ექსპოზიციაში მართლაც არის მოთავსებული მისი ერთი ფერწერული ტილო. შემდეგ კი დამატებით ვიგებ, რომ ამ მუზეუმში, ქ. სერესში სხვადასხვა დროის [illegible] ფრანგ მხატვართა (მათ შორის პიკასოს) ნამუშევრები შეუძენიათ, ქალაქის მმართველობას ვარლამიშვილისათვისაც მიუმართავს თხოვნით და მხატვარს მუზეუმისათვის თავისი ნამუშევარი „ლოთი" შეუწირავს.

ყველა ამას შემთხვევითობას ვერ მივაწერთ. ფილიპე ვარლამიშვილი დიდი კულტურის მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება და ალბათ ამას მართლაც საკმაოდ კარგად იცნობენ საფრანგეთში და მის გარეთაც. მიუხედავად ამისა, [illegible] მხატვარი, ჩანს, [illegible] ხელშეკრულებებით ... ამ ხელოვანის [illegible] მხატვრობას მიმართავს.

ალბათ ამავე მიეწერება კონტრაქტები გალერეებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში მხატვრის ნამუშევართა გამოფენების მოწყობას.

მაგ., გალერეა დრუანთან (ჟენევა) 1958 წელს დადებული კონტრაქტის მეშვეობით, ფილიპე ვარლამიშვილის გამოფენები მოეწყო პარიზში, აშშ-ში: ნიუიორკში, დალასში, ჰუსტონში, ლოს-ანჯელოსში, დეტროიტში და იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში.

უშუალოდ მხატვრის მიერ კერძო გამოფენის მოწყობა საფრანგეთში საკმაოდ ძნელია და ძვირიც ჯდება. მიუხედავად ამისა, ფილიპე ვარლამიშვილს რამდენიმე კერძო გამოფენაც მოეწყო: ერთი მათგანი — [illegible] ზემოხსენებულ გალერეაში (პარიზში) 1947 წელს და ორიც — სან-ფრანცისკოში. ამ გამოფენათა დოკუმენტურ მასალად მხატვარს სათანადო კატალოგები და პრესაში მოთავსებული ანოტაცია-წერილებიც შემორჩენია.

საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებში წლიდან წლამდე უფრო და უფრო ხშირად ფილიპე ვარლამიშვილის ანუ ვარლას სახელი (Varla — შემოკლებით აწერს ხელს მხატვარი და, ჩანს, ამ სახელით უფრო იცნობს მას უცხოეთის საზოგადოება). მათ შორის „ნუველ ლიტერერ", „ჟურნალ დე ლე ამატორ დე არტ", „კომბა", „არტ", „ლე პეინტრ", „ლე გრან [illegible]" და „ლე ინფორმაციონ არტისტიკ", — ერთხმად აღნიშნავენ მხატვრის დიდ შემოქმედებითს მონაცემებს, მის ოსტატობას, ფერწერულ ნიუანსთა სირთულეს, გარემოს აღქმის სიფაქიზეს და სხვ.

მათი სიტყვით: „მეტად გაბედული ნახატები მხატვარს უღლებია ძლიერ [illegible] დეკორატიული ნამუშევრები (ამ ტერმინის კეთილშობილური მნიშვნელობით)", „ვარლა ეწვევის, [illegible] და [illegible] ქალაქთა ინტერიერებში იმდენივე ნიჭსა და ჯადოქრობას ჩააქსოვს, რამდენსაც ბუნების, სასოფლო პეიზაჟებისა და განსაკუთრებით კი ტყეების გადმოცემაში". სურათებში ასახულ „[illegible] მწერლებსა და მთიბავებს [illegible] თითქოს მოეკლავთ პოზებს აკეთებენ, თავის რიტმში ისინი მეტად რეალურნი არიან"...

კიდევ მრავალი ასეთი ამონაწერის გაკეთება შეიძლება ფილიპე ვარლამიშვილის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიდან. მაგრამ მთავარ ყურადღებას ჩვენს მიერ წაკითხულიდან ძირითადად ის იქცევს, რომ მხატვარი ისევ და ისევ უბრუნდება ქართული ხასიათის სიცოცხლით სავსე თემებს და მისი სურათები ცხოველი და პოეტურია.

სამწუხაროდ, საშუალება არ იყო ძირფესვიანად გვეცნო მხატვრის შემოქმედება. ეს ძნელია, რადგან მისი ნამუშევრები სხვადასხვა ქვეყნებსაა და კერძო კოლექციებშია გაბნეული და მათი თავმოყრა ალბათ მხატვრისათვისაც შეუძლებელია.

მონოგრაფიას კი (რომელიც მხატვრის შემოქმედების გაცნობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა), როგორც ამას ფილიპე ვარლამიშვილი განმარტავს, საფრანგეთში მეცენატი, გალერეა (რომელიც მხატვარს პატრონობს) ან თვით მხატვარი სცემს თავის ხარჯზე, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ის მდიდარია.

მაგრამ, ფილიპე ვარლამიშვილი, რომლის ასეული ნამუშევრები მრავალ ქვეყანას მოიარა, მდიდარი არ არის და მასზე მონოგრაფია ჯერ არ დაწერილა (არა აქვს უფლება ჩვენს მხატვრებს შენატროდეს?).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს, რომ ერთგვარად გამახვილებული ინტერესით ვეცნობოდი მხატვრის თვითეულ ნამუშევარს, რეპროდუქციას, გამოფენების კატალოგსა და პროსპექტებს.

ერთ მათგანს [illegible]. 1950 წლის შემოდგომაზე გალერეა [illegible] მოწყობილი გამოფენის კატალოგში [illegible] უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ მხატვარი ნაწილობრივ მაინც გაიცნო.

რა არ დაგვიხატავს თვალწინ: „პლაჟი" და „რთველი", „მეთევზეები" და „ცხენოსნები", „მონადირეები", „[illegible]", „[illegible]", „[illegible]" და პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები...

[illegible] და სხვ.) შემაძლიან შემოგთავაზოთ განსახილველად.

მათი თემა განსხვავებულია, თვითეული მათგანის სტილი საგანგებოდ შეუფარდებული და რამდენადმე მანერულიც. მაგრამ ნახატი ძლიერია, კომპოზიცია დეკორაციულად შეკრული და დასრულებული, ფერები ერთ მთლიან კოლორიტს დაქვემდებარებული, ხოლო თვით მხატვარი კი თავისი „ობიექტის" მოტრფიალე.

„ობიექტი" კი ხშირ შემთხვევაში უბრალო ადამიანია, სხვადასხვა ქვეყნის სოფლებისა თუ ქალაქთა მცხოვრები, მათი ცხოვრების ნამდვილი გამომხატველი.

ფილიპე ვარლამიშვილი არ ცნობს აბსოლუტურად პეიზაჟების ხატვას უადამიანებოდ, მაგრამ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც პეიზაჟი მხატვრის მიერ პირველ პლანზე წამოწეული ჩანს, ადამიანის ხელისა და არსებობის შეგრძნობა მაყურებელს [illegible].

აქვეა, მაგალითად, იმპრესიონისტული ვიბრაციით აღბეჭდილი „სასახლის ქუჩა", ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული ხეების რიგებით და მათ შორის ბარითა და თოხით შეიარაღებული მამაკაცის ოდნავ შესამჩნევი ფიგურით. სურათში ჩაქსოვილი განწყობა, ხეების ხელაწვდილი, კიბეზე გადაბმულიცა თუ მიწაზე დაყრილი და დაჭრილი ტოტები, თავისთავადვე [illegible] ადამიანს, ბუნების მშვენიერებასა და მის დამმორჩილებელს.

მეზღვაურთა უბნები და სასახლის ქუჩები, მეთევზეები და მეთუნუქეები, მუშა ქალები და მათი ბავშვები, ესპანეთის მკვიდრი, წარმტაცი მიდამოები მაღლობებზე გაშენებული [illegible] ქალაქებით, აღმოსავლური მიმზიდველი დეკორატიული ურმები და სახედრები, [illegible] მოფუსფუსე ადამიანების დაძაბული ფიგურები ცოცხლდება ამ მხატვრის ნამუშევრებში და კომპოზიციურ-ფერწერით მრავალფეროვნად და ხელშესახებ შთაბეჭდილებასაც სტოვებენ.

ფილიპე ვარლამიშვილი მაყურებელს თითქოს სურათში იწვევს, ასახული სცენის მონაწილედ ხდის და მასში [illegible] ემოციებსაც წარმოშობს.

ადამიანის ძალ-ღონის [illegible] სურათი, რომელზედაც ცხენების დამორჩილების თუ გაწვრთნის სცენა წარმოუდგენია მხატვარს (და რომელიც იმავე სერიის ნამუშევრებს მიეკუთვნება, რომელსაც ზემოხსენებული სურათი „უბელი ცხენები"), დინამიკური, [illegible] აფორიაქებული და [illegible] დაძაბულ ხედს, [illegible] მამაკაცის [illegible] იწვევს.

და როცა ყველა ამას ვეცნობით, [illegible] ფილიპე ვარლამიშვილის ერთ-ერთი რეცენზენტის ამონაწერი: „რა კარგია, რომ ვარლას [illegible] ფერწერისათვის!"...

მართლაც, რა ბუნებრივი უნდა იყოს მხატვარი, რომელსაც ძალა შესწევს მრავალფეროვნად წარმოსახოს გარემო და განცდილი თავისი წარმოსახვით; მხატვარი, რომლის ფუნჯიც არ ერიდება ნაცად ხერხს და თემატიკასა თუ კომპოზიციის სირთულეს არ გაურბის.

მაგრამ, მხატვარს სახეზე მაინც [illegible] ცხოვრების დაღი და იგი, არ [illegible] პარიზის „[illegible]" [illegible].

და ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ, თუმცა, პარიზი, ეჭვგარეშე, ხელოვნების მარადიული „დედაქალაქია", რომელიც ყველასთვის [illegible] არის", მაინც არ [illegible].

ფილიპე ვარლამიშვილსაც უძნელია მხარი პარიზთან. [illegible] შეათავსა და თანამედროვე ფრანგულ მხატვრობასაც დაანათესავა.

ამიტომ, თუ ამჟამად ფრანგ მხატვრად აღიარებული „ვარლას" ნამუშევრები მის უდიდეს ოსტატობას მოწმობს და [illegible] მეტყველებს, ქართველი მხატვარი ფილიპე ვარლამიშვილი, რომელსაც პარიზში მეორე მხატვართა ზღვაშიაც თავისი საკუთარი მხატვრული ხედვა და ენაც გამოუნახავს, დღეს მეტად მწვავე პრობლემის წინაშე [illegible] უცხოეთის თანამედროვე მხატვრობაში რამდენადმე პრობლემურად მოაზროვნე, მაგრამ კოსმოპოლიტ მხატვართა რიცხვს, თუ პატრიოტულად დაიცავს და განაგრძობს ქართული მხატვრული ტრადიციები, რათა უცხოეთშიაც ქართულად ამეტყველდეს ფილიპე ვარლამიშვილის სახელი, შესაძლებლობის ფარგლებში [illegible] სამხატვრო [illegible] თავის ქვეყანას.

ნიშანდობლივია, რომ ქართული თემატიკა (და რაც მთავარია, ქართველი მხატვარი) ფილიპე ვარლამიშვილის შემოქმედებაში უფრო უცხოეთში ყოფნის პირველ წლებში და მეორე მსოფლიო ომის დღეებში ჩანს.

საფრანგეთისათვის ამ მეტად მძიმე დროს, მხატვარი და მისი შემოქმედებაც ისევე თავგასაცემებმა, — პარიზში მცხოვრებმა ქართველებმა, — შეიწყნარეს. და ისიც ბუნებრივია, რომ თავიანთი სახლის კარი მათ, პირველყოვლისა, თავიანთ ღვიძლ მხატვარსა და თემატიკას გაუღეს.

ქართული მხატვრული ტრადიციები რომ უცხო არ არის ფილიპე ვარლამიშვილისათვის, ამას ისიც მოწმობს, რომ ჩემს მიერ პარიზში ნანახ ნამუშევართა უმრავლესობა მხატვრის სამშობლო ქვეყნის ცხოვრების ამბებს ჰყვება და ლ. გუდიაშვილის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ე. ახვლედიანის მიერ მანამდე შექმნილ ნამუშევართა მსგავსად, ოსტატურად აღადგენს 1900-იან და 1920-იანი წლების თბილისის ქუჩებსა თუ გარეუბნებს, მათ ეგზოტიკას და კოლორიტს.

ამ ნამუშევრებში მართლაც რომ [illegible] ხასიათითა და ქართულად წარმოსახული სცენა თუ მოტივი, პეიზაჟი, ადამიანები და მათი მოქმედებაც („მეზურნეები", „ძველი თბილისის სურათი", „თბილისის მისასვლელთან" და სხვ.). და მერწმუნეთ, რომ მხატვრის შემოქმედება ამით მხოლოდ იგებს და არას ჰკარგავს.

ქართულ თემაზე დახატულ სურათთა საუკეთესო ნიმუშად უნდა წარმოადგენდეს 1941 წლით დათარიღებული, შედარებით მცირე ზომის ფერწერული ტილო „სალამური".

სურათი უპრეტენზიოა. არ გამოირჩევა ფერთა სიჭრელით და მაყურებელს ერთბაშად არ იზიდავს თავისკენ. მაგრამ შეხედავთ და თვალს ვერ მოაცილებთ: მისი სისადავე და მწყობრი კოლორიტი გამშვიდებთ, განწყობასაც შეგიქმნით და მხატვრის უშუალობითაც მოგხიბლავთ.

ქართველი გლეხკაცის ოჯახი მხატვარს კლდოვანი პეიზაჟის ფონზე წარმოუდგენია. მიწის მუშას ჯერ კიდევ ხელთა აქვს სამუშაო იარაღი, ჯერ არ [illegible] და სალამურს კი უკრავს გატაცებით.

თეთრი ჩოხა და ქართული კაბის მსგავსი ტანისამოსი კიდევ უფრო ამშვენებს და კეთილშობილ ხდის ფეხზე ქალამანამოცმულ მამაკაცის მოხდენილ სხეულს, სალამურის ჰანგების მიმყოლად [illegible].

ჰაერში ტკბილი ხმები იღვრება და ამ [illegible] დაჰქრის, მიწაზე მიყუდებულ [illegible] ერთად, თითქოს კლდიდან გადმოხრილი ხეც [illegible].

[illegible]

არ ვიცი, უნდოდა თუ არა ეს აზრი ჩაექსოვა მხატვარს თავის ნამუშევარში. მე პირადად ეს ლირიკული სურათი მხოლოდ ასე აღვიქვი და მასში [illegible].

ძნელია [illegible] გადმოცემა იმ ნაცნობ საგანთა მიერ გამოწვეული განცდისა, რომლებიც თქვენი ცხოვრების ნაწილია და უცხოეთში კი გხვდებათ, მაგრამ, ალბათ მაინც წარმოიდგენთ რა გრძნობამ აღმიძრა პარიზში მცხოვრებ ქართველთა ერთ-ერთი ოჯახის კედელზე [illegible] ძველი თბილისის [illegible] ფრონტალური პორტრეტი [illegible].

გადიდებული ფოტოდან [illegible] და მისი [illegible] მეუღლე, რომელთაც არა ჰქონდათ რა საერთო პარიზთან, მის ინტერიერებთან, წარსულთან და მომავალთან.

და [illegible] ალბათ უკვე დიდი ხნის განსვენებული ადამიანები, რომელთა [illegible] სამშობლო ქვეყნიდან გაყოლილი ცხოვრების ნაშთებს.

ძალაუნებურად მახსენდება სამამულო ომის დროს საფრანგეთში [illegible] ქართველი საბჭოთა [illegible] — [illegible] თავის სამშობლოს — საქართველოს. და რას წერდა მათ შესახებ ამასწინათ გაზეთი „კომუნისტი" — „[illegible] ო. კობიაშვილი ქართული სიმღერა წამოიწყო, რომელიც ბანაკში [illegible] და შემდეგ კი საფრანგეთის მთებში ქართველ და ფრანგ პარტიზანთა საყვარელ სიმღერად იქცა".

რა კარგი იქნებოდა ქართველი მხატვრის „სალამური" ახლავე [illegible] თავის [illegible] — ჩვენთვის უცხო მხარეს...

(დასასრული მე-4 გვ.)



ფიროსმანის პორტრეტი (ფოტორეპროდუქცია [illegible])

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო" №№ 1, 2, 5.

„ლურჯი ექსპრესი"

ადამიანი, რომელსაც ერთსა და იმავე გარემოში ხანგრძლივად უხდება ტრიალი, საგნებისა თუ მოვლენების ცვლილებას ერთბაშად ვერ ამჩნევს. ამ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, უმნიშვნელო წვრილმანებს ვგულისხმობთ, რომლებიც შეიძლება ყოველდღიურობას მიეწეროს... ჩვეულებრივ გადის დღეები, კვირები, თვეები და... უცებ, ბევრი რამ ისე აღარ ჩანს, როგორც ეს ჩვენს მეხსიერებას ჰქონდა შემონახული. მერე, დიდხანს ვფიქრობთ, ვფიქრობთ და ვერ ვარკვევთ, — როდის დაუბოხდა ხმა მეზობლის ბიჭს ან როდის გადახმა ეზოში აკაცია. ისიც მართალია, რომ ჩვენს თმაში გაჩენილ ჭაღარის ერთ ღერსაც კი [illegible] ვამჩნევთ და... იწყება სიცოცხლის რიგიც დამაფიქრებელი პერიოდი... ყველაფერს ცალ-ცალკე ვაკვირდებით, ვადარებთ ერთმანეთს, გამოსავალს ვეძებთ, ვპოულობთ და მაინც შეუმჩნეველი უკვე წარსულის კუთვნილებაა, — ხმაურში თუ დუმილში ჩაკარგული წარსულისა.

ზურაბ ლორთქიფანიძის ლექსების უკანასკნელი კრებული* სწორედ ამ მხრივაც არის საყურადღებო, რომ მასში კარგად, ნათლად არის გადმოცემული დღევანდელობა და ის, რასაც ყველა ხედავს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველა ვერ ამჩნევს.

ადამიანს, თავისი ხანგრძლივი თუ ხანმოკლე ცხოვრებიდან განსაკუთრებით ორი რამ ახსოვს: დიდი სიხარული და დიდი წუხილი. ეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, ამიტომ მტკიცება არ სჭირდება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ლექსი „ამ კედლებიდან"...

ვისაც გამოუცდია მარტოობის სიმკაცრე, ვისაც რამდენიმე დღე მაინც გაუტარებია ოთხ კედელს შორის, ყველაზე მეტად მას გადაუვლის [illegible] წუხილი და ხმაურისაკენ, სიცოცხლისაკენ დაუოკებელი ლტოლვა.

თეთრ პალატაში,
თეთრ სარეცელზე
მოსაწყენია დღეები წოლის,
ქუჩიდან გუშინ ამოვეწერე,
ტახტი დავიდგი ოთხ კედელს შორის.

სარეცელზე გაკრულისათვის ღია სარკმელი ბევრს არაფერს ნიშნავს: მოჩანს მხოლოდ ცა, ღრუბლიანი ან უღრუბლო. მაგრამ ქუჩა ხმაურობს, კედელს იქით ადამიანები დადიან, გარეთ ქარი ჰქრის, ისმის ტრამვაის ბორბლების ღრჭიალი და:

ქუჩის ხმაურზე სიცოცხლეს ვხედავ
და ერთი წამით ხელი არ ცხრება,
ახლა მომინდა ყველაზე მეტად
ამ კედლებიდან თავის დაღწევა.

ხმაურობენ გზები, ხიდები, — ისე ისმის საავადმყოფოს თეთრ კედლებში, თითქოს დაწყნარდა არაფერი ხდება...

ეს ხმაური ახარებს პოეტს, სიცოცხლის სიყვარულით, ადამიანური კეთილშობილებით სავსეა ეს ლექსი.

ზურაბ ლორთქიფანიძეს, როგორც პოეტს, აქვს ერთი დადებითი თვისება, რაც უდავოდ მისასალმებელია. ეს არის თემატური მრავალფეროვნება პოეტის დღემდე გამოქვეყნებულ კრებულებში ერთსა და იმავე თემაზე დაწერილი ორი ლექსი იშვიათად გვხვდება. თემის ერთფეროვნებას კი, როგორც ცნობილია, შედეგად მოსდევს სახეების, ხასიათის, აზრის ერთფეროვნება.

საუკეთესო ლექსია „გადმარჯოს". ამ ლექსში მოახლოებული სიბერის სევდაა გადმოცემული, მაგრამ სევდიც არის და სევდაც ლექსი, ერთი შეხედვით, ტრადიციულად იწყება: პოეტი ზამთარს ახსენებს. ბოლოს და ბოლოს წავა ზამთარი და სითეთრეს დასტოვებს თმაში: ის სითეთრე კი, ალბათ, აღარ გაივლის... მერე:

ერიდე ყინვას, ერიდე სიცხეს,
იარე წყნარად, [illegible]
სხვა რა ძალაა, გადაივიწყე,
გადაივიწყე ძველი ილეთი.
გადაივიწყე და შეურიგდი
პოეზიიდან პროზამდე დახვლას.
დაიხსენ ცხენთა [illegible]
ტრფიალით წვას და [illegible]
[illegible]

მოახლოებული სიბერე სამწუხარო სინამდვილეა, რომელსაც მხოლოდ ახალგაზრდა მოულოდნელად აღიქვამს და მაინც არ სჯერა, რომ ეს გარდაუვალია, ამიტომ, პოეტი იუმორის კეთილი ელფერით უდგება ამ თემას, თითქოს, ყოველდღიურ წვრილმანზე ესაუბრებოდეს ძველისძველ ნაცნობს.

პოეტის ყველა ლექსი გამთბარია მამულის, თავისი ხალხის სიყვარულით. მაშინაც კი როცა ისტორიულ წარსულს უბრუნდება, ჩანს თანამედროვე კაცის თვალით დანახული სამყარო,

ვიდრე მამულის [illegible] იერი,
ქვეყანავ უშიშრად მიდი, იარე!

ეს სტრიქონები შეიძლება ჩაითვალოს მთელი წიგნის დევიზად.

კარგი ლექსებია: „კავკასიონზე თოვლი არ არის", „ორი სილამაზე". მაგრამ წიგნს აქვს გარკვეული, თვალშისაცემი ნაკლი, რომლის გვერდის ავლა შეუძლებელია.

ლექსების უმეტესობა მოიკოჭლებს რითმის მხრივ, ზოგჯერ რიტმი ირღვევა, — ამ შემთხვევაში ავტორი აზრის სრულყოფილად გადმოცემას არ [illegible] და... ლექსს კეთილხმოვანებას უკარგავს.

კარლო კობერიძე

---

* ზ. ლორთქიფანიძე — „ლურჯი ექსპრესი". „საბჭოთა საქართველო", 1964 წ.

პირველი ქართველი მოქანდაკე ქალი

ნ. წერეთლის ნამუშევრების გამოფენის გამო

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დარბაზებში მოწყობილია პირველი ქართველი მოქანდაკე ქალის ნინო წერეთლის ნამუშევართა გამოფენა.

ნ. წერეთელს საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების ყველაზე საინტერესო პერიოდში მოუხდა საშემოქმედო ასპარეზზე გამოსვლა. ეს იყო ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელოვნების განვითარების პირველი წლები, როცა ახალგაზრდა რესპუბლიკა შეუდგა გამარჯვებული ხალხის მეურნეობისა და დანგრეული მრეწველობის აღდგენა-რეკონსტრუქციის და საფუძველს ამზადებდა მთელი სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის. სწორედ ამ დროს ნინო წერეთელი ერთი პირველთაგანი ამთავრებს თბილისის სამხატვრო აკადემიას და უკვე დაოსტატებული, ნიჭითა და ენერგიით აღსავსე ვაჟკაცურად უდგება მხარში ამ დროის თითქმის ჩამოსათვლელ მოქანდაკეთა უფროს თაობას და მათთან ერთად ებმება განახლებული ცხოვრების ფერხულში. ნამუშევრები, რომლებიც მას სტუდენტობის წლებში სამხატვრო აკადემიის მოწყობილ საანგარიშო გამოფენაზე გამოჰქონდა, ყოველთვის გამოირჩეოდნენ ბრწყინვალე შესრულებით, თანაც მოქანდაკის ზუსტ თვალსა და ხელზე მიუთითებდნენ.

ახალგაზრდა ხელოვანმა სადიპლომო თემად მხცოვანი მხატვარ დავით გველესიანის პორტრეტი აირჩია. ეს პორტრეტი გამოკვეთილია მუქი ნაცრისფერი ქვისაგან. ალაგ-ალაგ დამტვრეული უხეში კვეთით დამუშავებული. ქვა ნატურალური ზომის ქანდაკებას ერთგვარ მონუმენტურობას ანიჭებს და პლასტიკური ფორმის იშვიათი შეგრძნებით გადმოსცემს მხატვრის შინაგან სამყაროს.

ნინო წერეთელმა თავისი ამხანაგების, შემდეგში ცნობილი მხატვრების: ნ. თამაშვილის (1924 წ.), მ. გარიბჯანიანის (1925 წ.), მ. მაიერის (1926 წ.), ვახტანის (1927 წ.), ირაკლი თოიძის (1929 წ.) და სხვათა პორტრეტები აკადემიის კედლებშივე შეასრულა. ეს ნამუშევრები ხასიათდება დიდი პორტრეტული მსგავსებით. ფსიქოლოგიური ხასიათი პლასტიკური ხერხით არის გადმოცემული და გახსნილი. ავტორი მათში აღწევს შესრულების მაღალ ოსტატობას. ეს ნაწარმოებები შესრულებულია უშუალოდ ნატურიდან.

ქანდაკების სპეციფიკას დაუფლებული და დაოსტატებული მხატვარი 1927 წლის მონაწილეობას იღებს თბილისში ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენაზე. ამ გამოფენაზე მან გამოიტანა თავისი მეგობრის დიდო გუნიას პორტრეტი. იმავე წელს ეს პორტრეტი გაიგზავნა მოსკოვში მოწყობილ ქართველ მხატვართა გამოფენაზე. სამხატვრო აკადემიის სტუდენტის ამ ნამუშევარმა საზოგადოების დიდი ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. ავტორს უჩანს კარგი ჩანაფიქრი, უჩანს ობიექტის შინაგანი სამყაროს შეგრძნებისა, გაგებისა და გადმოცემის დიდი უნარი. ამის შემდეგ ნინო წერეთელი მონაწილეობას იღებს ქართველ მხატვართა ნამუშევრების ყველა გამოფენაში. ამ ხანებში შესრულებულ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვარ შ. მამალაძის (თაბაშირი), პოეტ ვლ. მაიაკოვსკის (თაბაშირი) და მუშის პორტრეტი (თიხა). ეს ნამუშევრები მხატვარმა ახლად დაარსებულ რევოლუციურ მხატვართა ასოციაციის მიერ მოწყობილ გამოფენაზე გამოიტანა 1930-32 წლებში. ყველა ეს ნამუშევარი მოწმობს, რომ ავტორს კარგად აუთვისებია თავისი მასწავლებლის იაკობ ნიკოლაძის (ქანდაკება), ა. შარლემანის (ხატვა) და სხვათა რეალისტური ხელოვნება. სწორედ აქ მიღებული ჩვევებით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ მხატვარი მუდამ აღწევდა თავის ნამუშევრებში დიდ ფორმათა მოცულობა და კონსტრუქციული საწყისების შეფარდება. მოქანდაკის ყველა ნამუშევარი მტკიცე რეალისტური სულით არის გაჟღენთილი და ავტორს ნამდვილი ხალხური ხელოვნებისათვის მებრძოლად წარმოგვიდგენს.

1932 წელს საქართველოს მუზეუმის შეკვეთით ნინო წერეთელი გამოფენისათვის ქმნის ორ ქანდაკებას: „სვანი" და „სვანი ქალი", რომლებშიც ავტორს მიზნად დაუსახავს სვანების ეთნოგრაფიული ტიპის გადმოცემა. იმავე წლის ზაფხულში ნინო წერეთელი მივლინებული იყო უზბეკეთში. შუა აზიის ეგზოტიკური ტიპების სახიერებით გატაცებული მხატვარი ბევრს მუშაობს, ქმნის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტებს.

ამ ხანებში შესრულებულია უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ახუნ-ბაბაევის ბიუსტი (1933 წ.), იქრამოვის ბიუსტი (1933 წ.), საუკეთესო კოლმეურნე გლეხისა და საუკეთესო დამკვრელი მუშის ბიუსტები (1932 წ.), კოლმეურნე ქალი (1932 წ.), უზბეკის პორტრეტი (1933 წ.). ეს ნამუშევრები ქალაქის წითელ მოედანზე იყო გამოფენილი. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ჩვენს გამოფენაზე წარმოგვედგინა უზბეკეთში შესრულებული რომელიმე ნამუშევარი.

ცხოვრების ფერხულში აქტიურად ჩაბმამ, ნაყოფიერმა დაუღალავმა მუშაობამ, ახალგაზრდა ქალი გაზარდა და დაასრულა.

1933 წლის ბოლოს ნინო წერეთელი თბილისში ბრუნდება. ქართული საზოგადოება, თბილისის ინტელიგენცია აღფრთოვანებული ხვდება ახალგაზრდა მოქანდაკის დიდ გამარჯვებას. ჩვენს პრესაში ჩნდება წერილები, რომელთა ავტორები ხოტბას ასხამენ მოქანდაკე ქალს. მწერალმა სერგო კლდიაშვილმა სპეციალური წერილი უძღვნა პრესაში მოქანდაკის შემოქმედებას, მის მასწავლებელს ი. ნიკოლაძესა და თბილისის სამხატვრო აკადემიას, სადაც აღიზარდა „ეს ახალგაზრდა და მშვენიერი ქალი". ავტორი აღნიშნავდა ხელოვანის სწრაფ წინსვლას და მიუთითებდა, რომ გზა, რომელიც ნინო წერეთელმა აირჩია, არის სწორი და ჯანსაღი.

1934 წელს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა თავისი დამაარსებლის, ქართული თეატრის დიდი ოსტატის ხსოვნისადმი მიძღვნილი მუზეუმი გახსნა. დიდი რეჟისორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მრავალ ექსპონატთა შორის დარბაზს ამშვენებდა კ. მარჯანიშვილის ბიუსტი (1934 წ.), მისი ავტორია ნინო წერეთელი. იმავე პერიოდს ეკუთვნის მის მიერ გაკეთებული გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტის ე. ნინოშვილის ბიუსტი, რომელიც თეატრის ადმინისტრაციამ სპექტაკლ „ნინოშვილის გურიის" დადგმასთან დაკავშირებით შეუკვეთა.

თეატრთან ახლო ურთიერთობამ, ამ საქმიანობის დიდმა ინტერესმა და სიყვარულმა გააბედვინა ახალგაზრდა ქალს უარი არ ეთქვა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოწვევაზე — ჩაბმულიყო თეატრის მუშაობაში, როგორც თეატრალურ-დეკორაციული მოქანდაკე. პირველი ცდა სცენაზე მოქანდაკის გამოსვლისა ნინო წერეთელს ხვდა წილად. მან მხატვარ პეტრე ოცხელთან ერთად გააფორმა უ. შექსპირის „ოტელო". პიესის დადგმის ეს სიახლე, მასში მოქანდაკის ხელი ჩვენს მაყურებელს შეუმჩნეველი არ დარჩენია. ნ. წერეთელმა უ. შექსპირის „ოტელოს", „ნინოშვილის გურიის" და სხვათა დადგმით პირველი თეატრალურ-დეკორაციული მოქანდაკის სახელი დაიმკვიდრა.

1934 წელს თბილისში მოწყობილ გამოფენაზე — „საბჭოთა საქართველოს სახვითი ხელოვნება 13 წლის მანძილზე" — ნინო წერეთელმა წარადგინა მსახიობ სანდრო იმედაშვილის ბიუსტი (მარმარილო). ნაზი ხაზებით გამოკვეთილი ეს ფსიქოლოგიური პორტრეტი მსახიობის შინაგან ძალასა და ნებისყოფას გამოხატავს.

მეტად ორიგინალურად აქვს მოქანდაკეს ამავე ხანებში შესრულებული შოთა რუსთაველის ბიუსტი. დიდი ქართველი მოაზროვნის სახეს თავისებურად მხატვარი რაღაც ფარავს. იგი პოეტის დიდებულ სახეს არაჩვეულებრივ ქალურობას უძლიერებს და მაყურებლის სასიამოვნო განცდასაც იწვევს.

ნინო წერეთელმა 1931 წლის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში მხატვრულად გააფორმა მ. კ. შესტაკოვის პიესა „მორეული გზით". პიესისათვის დამზადებული კოსტიუმების ესკიზები ეპოქის კარგი ცოდნითა და ფერთა შესანიშნავი შეხამებით ხასიათდება. ასეთივე კარგ შეფასებას იმსახურებს 1931-32 წლების სეზონში სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი ოპერა „[illegible]" კოსტიუმების ესკიზები, რომლებიც ახალგაზრდა ქალმა შეასრულა მხატვარ ს. ვირსალაძესთან ერთად.

ეს დაუცხრომელი ხელოვანი ბევრს მუშაობდა, მისი შემოქმედებითი ენა მარად დაუშრეტელი იყო. „დრო გარბის და რის გაკეთებას ვფიქრობ მაქვს, ვერ ვასწრებო", თურმე ხშირად იტყოდა ხოლმე ნინო წერეთელი. მოქანდაკე გარდაიცვალა 1939 წელს, 37 წლის ასაკში.

ქეთევან ბაგრატიშვილი

შეხვედრები ქართველ მხატვრებთან

(დასასრული)

როგორც თავიდანვე აღვნიშნე, მინდა არ დავწყებ საფრანგეთის, და მით უფრო მისი მხატვრული ცხოვრების აღწერა. ეტიუდები კი ძალიან ბევრი საფრანგეთზე და მით უფრო — პარიზზე.

თუმცა ვებ საჭირო იყო ცოტა რამ მაინც მეთქვა პარიზის მხატვრულ სამყაროზე, ლუვრზე, მსოფლიო მნიშვნელობის ამ ერთ-ერთ დიდ საგანძურზე, რომელიც [illegible] საპარიზოდ, ნაკლებად [illegible] „იმპრესიონისტების" [illegible] და, როგორც ამბობენ, მუზეუმში [illegible] დალაგებული სურათებით. [illegible]

ყველა საჭირო იყო როგორი სიტყვა მეთქვა იმპრესიონისტების მუზეუმზე, მის დარბაზებზე, სადაც [illegible] ნიღაბსა და [illegible] ამაღლება და განცდა [illegible]; თანამედროვე ხელოვნების მუზეუმზე, რომელიც აშკარა [illegible] უმეტეს აბსტრაქტულ ხელოვნებას და რომლის [illegible] ფრანგული ხელოვნების; [illegible] და „ორფეიზმის" ძალზე მიზიდველი პოლ კლეეს, რის ლექსის სტრიქონი: „მათი ხიბლი მაშინ მიიწვდება ადამიანს, როცა არ იქნება ქვეყნად მკვლელობა".

როგორ სიტყვას ვიტყოდი [illegible] დაცული [illegible], რომლის [illegible] ხალხმრავალი სამყაროსეული [illegible] ფორმებით გარემოცული; ტილოზე, რომლის ნატურალისტურ-აბსტრაქტულმა ფორმებმა თავისთავადად შემზარა.

და რაც მთავარია, როგორც სიტყვას მაინც მოვასწრებდით მონმარტრზე, უფრო [illegible] საკმაოდ შეცვლილ სამყაროზე, რომელიც ამჟამად ძირითადად ტურისტების თვალსაზრისით მოქცეული, მონმარტრზე, რომელიც აღარ ითვლება ნამდვილ მხატვრულ ცენტრად და მაინც თავმოყრილი მხატვრები [illegible] ფერმკრთალ „ბოჰემის" ჩანან თავიანთ [illegible].

ტერტრის მოედანი სავსე იყო ხალხით და ჩემს წინ გადაშლილი სცენა ფერით წარმოდგენად [illegible], ვიღაც ხიბლის [illegible], თანამედროვე „სტილის" მიხედვით [illegible] მხატვრებით, ახალგაზრდებითა თუ ხნიერებით, [illegible] თუ სამუშაოთი გატაცებულებით, მათ გარშემო კი უფრო მეტად ცნობისმოყვარე, ვიდრე [illegible] ადამიანებით. რომელთაც, ხშირ შემთხვევაში, ტრადიციულად, შეწყვეტილი [illegible] თვალები, როგორც სურათებისაკენ.

მხატვრები კი, შეუდრეკლის გამოჩენას ელიან, ახლად მოსულთ გარს ეხვევიან და თავისაკენ იწვევენ ფრანგული იუმორით აღსავსე შეძახილებით.

მონმარტრი...

მაგრამ, მაინც წერა განსაკუთრებული თემაა... ამიტომაც ამჯერად ჩემს მიერ პარიზში განცდილ მოულოდნელ წუთებზე მოგახსენებთ და ამითვე დავამთავრებ.

ჩემს წინ დიდი ზომის ფერადი ფოტოა. ზედ მხატვრის გამოსახული მეტად სახასიათო პროფილით. კეხიანი ცხვირი და საბავშვო დანარჩენი ნაკვთებიც ამჟღავნებს ხედვის მის სადაურობას და დაეჭვს არ იწვევს, რომ იგი უბრალო ქართველი გლეხიკაცია მრავალჭირნახული და ქარტეხილიანი ცხოვრებით შეჭირვებული.

წვერ-ულვაში და თმა შეჭაღარავებული აქვს, თვალები — ნაღვლიანი და მეშინობით გადამწვარი, შინაგანად კი ცხოვრებიდან მოღლილი და განაწყენებული ჩანს.

ყველ თქვენ იცანით პორტრეტი, ჩემი მეხსიერებაში კი საფრანგეთიდან წამოღებული [illegible] ხასიათი აღიბეჭდა. ის დრო, როდესაც უცხო მიწა ხასიათების და [illegible] განიხილება და სახელი ახალი აღარის ელი.

მაგრამ, პარიზი სავსეა მოულოდნელობებით და მოხიბვლებით [illegible] შემომთავაზა ჩემი მიერ აღწერილი პორტრეტი. შემხვდა, ვიცანი და გამიხარდა მისი სახელის ხსენება. არა მხატვრობა, რომ პარიზში ფიროსმანის სახე [illegible]. სიცოცხლეში მისგან [illegible] პორტრეტის შეტანა არც მიზანი რა.

მაგრამ, პორტრეტი მიიტანა არ არის. იგი ხელთ მიჰქონდა და ამჟამად საკუთრებაა პარიზში მცხოვრებ ქართველი კოლექციონერის, რომელიც მის შრომაში ავტორსაც ეცნობა.

აჰა, ვერა ლუმბაძეს საკუთრება ფიროსმანის პორტრეტი. მხატვარი ქალი პარიზში გარდაიცვალა და მისი ქონება კი აუქციონზე გაიყიდა. რა უცნაურია ბედი ფიროსმანისა! მისი პორტრეტიც საზღვარ გადაღმა „ნაქურთით".

განსაკუთრებული სურათის მიზნები. მაგრამ, [illegible] და პორტრეტი არ მიეწერება...

და ისევ დავუბრუნდე ჩემს წინ მდგარ დიდ ფერად ფოტოს. დაბეჯითებით ვამტკიცებ, შემოწმება და განსაკუთრებული ფაქტურა. პორტრეტზე არც მხატვრის სახელია აღნიშნული და არც მ ო დ ე ლ ი ს ვინაობა.

მაგრამ არსებობს ფიროსმანის ფოტოები, ავტოპორტრეტი და ნატურიდან ნახატები, რომელთა წინადადებაც თითქოს არც თუ საჭირო ხდება დადგინდეს, რომ პარიზის პორტრეტზე მართლაც ფიროსმანია გამოსახული, ხოლო ამ დებულებას მხატვრები ლადო გუდიაშვილი (რომელიც ახლოს იცნობდა ფიროსმანს) და ქეთევან მაღლაშვილიც (რომელსაც ფიროსმანი თავის დროზე მხატვართა საზოგადოების კრებაზე უნახავს) იზიარებენ.

მაგრამ საიდან მოხვდა პორტრეტი ვერა ლუმბაძესთან და ვინ უნდა იყოს პორტრეტის ავტორი. ეს უფრო ძნელად გადასაწყვეტი საკითხია.

ვერა ლუმბაძე თბილისში 1922 წლის ჩამოვიდა და აქედანვე წავიდა საზღვარგარეთ, 1927 წელს.

მხატვარი ნაკლებად მისდევდა ფერწერას და ზეთის ფერებით ნახატი მისი პორტრეტები თუ ნატურმორტები, მის რეცენზენტთა დამოწმებით, ნაკლებად გამოირჩეოდა ოსტატობითა და ინდივიდუალობით.

მაგრამ, იგი კარგ გრაფიკოსად ითვლება და მისი წიგნის გრაფიკა, ილუსტრაციები და პორტრეტები განსაკუთრებულ ყურადღებას და შეფასებასაც იმსახურებს.

ფიროსმანისადმი ინტერესი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაძლიერდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ვერა ლუმბაძე თბილისში ახლოს იდგა ფიროსმანის გატაცებულ წრესთან, თუ ლიტერატორთა წრესთან, რომელთა პორტრეტებსაც იგი დიდი [illegible] კი ხატავდა (განსაკუთრებით იყო პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძის და სხვათა პორტრეტები), საფიქრებელია მხატვარი ქალის კოლექციაში ფიროსმანის პორტრეტის მოხვედრა: აღნიშნული სურათი კიდევ ერთი პორტრეტია შესაძლებლად თუ სახალხო მხატვრისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული სიმპათიის მოწმეთ.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ პორტრეტის ავტორი ქართველი ან თბილისელი მაინც უნდა იყოს, რადგან სურათის სტილისტურ ანალიზს გიგო ზაბაშვილისა და მისი თითქოს მხატვრული სკოლისაკენ მივყავართ.

მაგრამ, გიგო ზაბაშვილს არ სჩვევია ფიროსმანი და ამჟამად მის პორტრეტს არ დახატავდა. ხოლო თავისთავადაც კოლორიტი თუ ფერწერული იერი და შესრულების მანერა, უფრო მისი თითქოს უნდა უახლოვდებოდეს (განსაკუთრებით მისი „ლუკა", „ვარჯიში", „ხელოსანი" და სხვ.).

პარიზული პორტრეტი არც ზუსტი იმპროვიზაციაა და არც ფოტოდან გაკეთებული ჩანს. მის ნატურიდან შესრულებას პორტრეტის სიცხოველე და სრულყოფილი ფერით მოხატვის ნაწერი სახის ნაკვთებიც მოწმობს, და მარჯვენა ქვემოთა კუთხეში გაკრული ხელით მიწერილი „3a 2 ч.с.в", რომელიც გვამცნობს, რომ მოდელი მხატვრის წინ სულ ორი საათი იჯდა.

ჩანს, პარიზში ნანახი პორტრეტის ავტორი პირადად იცნობდა ფიროსმანს. ასეთ მხატვართა რიცხვს კი რომ მოვიყვანოთ თითქმის მოგვიწოდებს და ამას, წერილობითი წყაროების გარდა, ისიც მოწმობს, რომ როგორც მხატვრის შვილები — მხატვარი ირაკლი თოიძე და მხატვრის ალექსანდრე თოიძე იგონებენ, ნიკო ფიროსმანაშვილი მათ ოჯახშიაც უნდა იყოს ნამყოფი დაახლოებით 1915 წლისათვის.

რაც შეეხება ფიროსმანისადმი მისი თაობის დამოკიდებულებას, ამაზე მისი საკმაოდ ვრცელი და საინტერესო წერილიც უპასუხებს, რომლითაც იგი კ. ზდანევიჩის მიერ [illegible]-ში გამართულ გამოფენას, გამოფენა [illegible] (1916 წ.)

[illegible]

„ზოგიერთებისათვის ეს [illegible] ხსი და სასაცილო იყო. — აღნიშნავდა ავტორი — ზოგმა ამგვარი ნახატების გამოფენა ხელოვნების შეურაცხყოფადაც ჩათვალა. მაგრამ ჩვენ ვხედავთ ნ. ფიროსმანაშვილს ისეთ ძლიერ პიროვნებას, ისე ძლიერად ხედავს [illegible] თავისებურებით, რომ არა თუ უნდა გვრცხვენოდეს მისი ნახატების გამოფენა, პირიქით მასში უნდა ვეძიოთ ნიადაგი როგორც დამოუკიდებელ იერის მოძებნისა.

თუ გვინდა რომ ქართული მხატვრობა სრულიად არ ჩაინთქას ევროპულ ხელოვნების რეალიზმში, არ იქცეს მხოლოდ და მხოლოდ სხვა ერთეულების ხელოვნების [illegible], დავიწყებულ მეთოდ და მეთოდს კოპიით და მით არ გაქრებოდეს გადაგვარების უფსკრულისაკენ, უნდა ეხერხოს პრიმიტიული თავისთავადობა და ხალხის ხელის კიდევ შეგნებულ თითო-ოროლა ძლიერ პიროვნებაში თავისებური სტილი, ხასიათი, თავისებური ფორმები შეიმეცნებისა, უნდა დავეჭიდოთ, აქაა ჩვენი ძალა, სიცოცხლე და მის შენარჩუნებაში დაკავშირებული უფრო დიდებულებით იმ დაწინაურებულ ერების, რომელთაც მხოლოდ თავისებურებებში ხიბლით მიუღწევიათ დიდებულ და დიდება".

ამ ტექსტს კომენტარები არ სჭირდება. თვით პორტრეტს კი და, რა თქმა უნდა, იმისაც კი, თუ რომელ წელს და რა პირობებში შეიქმნა იგი მაინც ესაჭიროება გამოკვლევა და მომდევნოობაში ეგებ ისიც კია მისაღები, რომ მხატვარ ქეთევან მაღლაშვილის დამოწმებით, პორტრეტი შექმნილი უნდა იყოს სპეციალური ზენიტური განათების მქონე ინტერიერში.

მაგრამ წინასწარი სავარაუდო მოსაზრებებით თავს არ შევაწუხებთ. მხოლოდ ხანმოკლე თავს ირებს და გაურკვეველი ვითარებით პარიზში მოხვედრილი, ფიროსმანის სახედ მიჩნეული ეს პორტრეტი თავისი ავტორის ხელმოწერასაც ითხოვს...

პარიზში მცხოვრებ ქართველ მხატვრებს კი მინდა ვუსურვო: შემოქმედების ერთადერთ მასაზრდოებელ წყაროდ თავიანთი ხალხის დღევანდელი დღე, საბჭოთა საქართველოს მომავალი წარმოიდგინონ...

გულნარა ჯაფარიძე



ესპანეთი.
მხატვარი ფ. ვარლამიშვილი.

შეხვედრები, საღამოები

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ" ვაკის რაიონში მოაწყო პოეტების გიორგი კალანდაძის, ლადო სულაბერიძის და ვახტანგ გორგანელის შემოქმედებითი შეხვედრები.

პირველი ლიტერატურული საღამო გაიმართა რაიონულ ცენტრში. საღამო გახსნა მარტვილის რაიკომის იდეოლოგიის განყოფილების გამგემ ა. ნადირაძემ. მოხსენებით — „მშვიდობის თემა ქართულ საბჭოთა პოეზიაში" — წაიკითხა ვ. გორგანელმა. შემდეგ პოეტებმა გ. კალანდაძემ, ლ. სულაბერიძემ და ვ. გორგანელმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები.

პოეტები შეხვდნენ აგრეთვე [illegible] მუშაკებს და სოფელ [illegible] კოლმეურნეებს.

ასეთივე საღამოები გაიმართა სამტრედიის და წყალტუბოს რაიონებში.

ნ. მაკრახიძე

* * *

თბილისის დ. გურამიშვილის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა ლადო მრელიშვილთან. მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ზეინაბ სირაძემ. სიტყვები წარმოთქვეს და მწერლის ნაწარმოებები წაიკითხეს მოსწავლეებმა თამარ ალიბეგაშვილმა, ლიანა ნაცვლიშვილმა, მანანა ჯაფარიძემ, მზია ჯანგულაშვილმა, თამარ მეკელაძემ. მწერალმა ანა ლეონიძეშვილმა, ბიბლიოთეკის მუშაკებმა დარეჯან ესიავამ, ნათელა გელიაშვილმა და სხვ.

საქართველო ჯ. ოლდრიჯის ახალ რომანში

ინგლისელი მწერლის ჯეიმს ოლდრიჯის სახელი კარგად არის ცნობილი საბჭოთა მკითხველისათვის. ამ დღეებში მისი „მონადირე" ქართველმა მკითხველმაც მიიღო. თავის რომანებში იგი ეხება თანამედროვეობისათვის მეტად საინტერესო და საჭირბოროტო საკითხებს.

ახლახან ჩვენი გაზეთის რედაქციამ მიიღო ლონდონში გამოცემული ჯ. ოლდრიჯის ახალი რომანი „უცხო თვალით", ამ რომანში იგი ეხება საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მეგობრობისა და ურთიერთობის თემას.

ჩვენთვის ეს რომანი იმითაცაა საინტერესო, რომ მისი მთავარი მოქმედი პირი რუპერტ როისი საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას საქართველოში ჩადის. ხვდება ქართველებს, ეცნობა საქართველოს ცხოვრებას.

აი, მოკლედ რომანის სიუჟეტი: ...არქტიკულ ზონაში ინგლისური თვითმფრინავი მიფრინავს. უცნობმა მგზავრებმა ყინულებში დამსხვრეული თვითმფრინავი შეამჩნიეს. რუპერტ როისი, გამოცდილი მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომელი, პარაშუტით დაეშვება კატასტროფაში მოხვედრილთა დასახმარებლად და თვითმფრინავის ეკიპაჟს სხვა ძალები გამოუგზავნონ. ინგლისური თვითმფრინავი გზაში დაიღუპება. ყინულებზე დაშვებული რუპერტ როისი ნახავს, რომ აქ დამსხვრეულა საბჭოთა თვითმფრინავი, რომლის ეკიპაჟიდან გადარჩენილა მხოლოდ ერთი — ვოლოშინოვი. რ. როისი და ვოლოშინოვი დიდხანს ელიან ინგლისელთა შველას, მაგრამ ამაოდ. მერე ისინი მოულოდნელად შეეცდებიან გზა გაიკვლიონ ყინულებში. დიდი ხნის წვალების შემდეგ მათ ესკიმოსები იპოვნიან და ამერიკელთა საჰაერო ბაზაში მიიყვანენ. ამერიკელები რ. როისს სამშობლოში გაისტუმრებენ, ხოლო რუს მფრინავს — ვოლოშინოვს დააკავებენ, რათა უფრო გაამწვავონ ცივი ომი. მაგრამ რ. როისის მეცადინეობით რუს მფრინავს ბოლოს სამშობლოში გაისტუმრებენ.

უყოყმანოდ ამის გამო ვოლოშინოვსა და რ. როისს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებას მიანიჭებენ. როისს მოსკოვში მიიწვევენ. ამ დროს ამერიკელები, ცივი ომის გამჩაღებლები, შეეცდებიან როისს უარი ათქმევინონ ამ წოდების მიღებაზე. როისი არ დათანხმდება და სამსახურს დატოვებს.

სსრკ-ში სტუმრად ჩამოსული რ. როისი ეწვევა საქართველოს, როგორც უძველესი კულტურის ქვეყანას.

თბილისში რ. როისს გულთბილად შეხვდებიან. მას ვახშამს გაუმართავენ წყნეთში, აი როგორ აღწერს ამ ეპიზოდს ჯ. ოლდრიჯი.

„საღამოს მათ წყნეთში, ღია ვერანდაზე ისადილეს. ქვემოთ ვარსკვლავებით დაწინწკლული თბილისი ციმციმებდა. შორით, ლურჯი და თოვლით დაფარული კავკასიის მწვერვალები სულმოუთქმელად მიისწრაფოდნენ წმინდა და უმწიკვლო ცის შესახვედრად. ერთ-ერთი სტუმარი, ანტიკური ლიტერატურის პროფესორი საქმიან სიმღერებს მღეროდა, ხოლო ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტი ნიკო რუპერტს ყურში ჩასჩურჩულებდა ლექსის თარგმანს და ასახსნიდა, ეს ცნობილი სიმღერაა [illegible] ქართველებისა.

აირჩიეს სუფრის თავმჯდომარე, რომელსაც აქ თამადას ეძახიან. იგი ვეფხვს ჰგავდა. ბევრი სადღეგრძელო დაილია. ჩვეულებრივ სადღეგრძელოებს ჭიქებით სვამდნენ, ხოლო მნიშვნელოვანს — ყანწებით, რომლებსაც ყველა მამაკაცს ჩამოურიგებდნენ რიგრიგობით. ეს უცნობი ქართველი პროფესორები წარმოსთქვამდნენ სადღეგრძელოებს და მღეროდნენ რუპერტის პატივსაცემად. აქებდნენ მას ბრძნული ეპიგრამებითა და ქართული ლექსებით.

სადღეგრძელო სადღეგრძელოს მისდევდა და რუპერტმა ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ მიიწურა დრო და როცა თორმეტიოდე სადღეგრძელოს, ქართული ლექსებისა და გმირული სიმღერების მოსმენის შემდეგ, მან ადგომა დააპირა, შეატყო, რომ ფეხები აღარ ემორჩილებოდა.

ქართველმა პროფესორებმა რუპერტს გამოსათხოვარი სიმღერა უმღერეს. იგი ჩაჯდა მანქანაში და დაეშვა თბილისისაკენ, რომელიც ვერცხლისფრად ელავდა".

შემდეგ ჯ. ოლდრიჯი დაწვრილებით აღწერს თავისი პერსონაჟის მოგზაურობას საქართველოში.

რ. როისი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა, როგორც ალექსი ვოლოშინოვის პირადი მეგობარი. მას ნაკლებად აინტერესებდა საბჭოთა ხალხი, მისი ყოფა და კულტურა. მაგრამ საბჭოთა ხალხმა დიდი სითბო და გულღიობა აჩვენა, რაც მას საბოლოოდ დაარწმუნებს ცივი ომის უაზრობაში.

„ჯარისკაცის მამის" განხილვა

საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირმა მოაწყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" ახალი ნაწარმოების „ჯარისკაცის მამის" განხილვა. მოხსენებით გამოვიდა თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: რეჟისორმა ს. დოლიძემ, კინოკრიტიკოსმა კ. წერეთელმა, დრამატურგმა ლ. მოლოდინოვმა, მთავარი როლის შემსრულებელმა, სსრკ სახალხო არტისტმა ს. ზაქარიაძემ და ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა რ. ჩხეიძემ.

დიდი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის და — ლუდმილა მაიაკოვსკაია ჩვენი ქვეყნის საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი მხატვარია.

ოც წელზე მეტია ლუდმილა ვლადიმერის ასული მხატვრად მუშაობს მოსკოვის საფეიქრო წარმოებებში, ამასთან ერთად იგი 28 წელიწადია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში. მისი აღზრდილი მხატვრები ახლა მუშაობენ მოსკოვის, ივანოვოს, იაროსლავის, კოსტრომის, კალინინის და სხვა ოლქების საფეიქრო საწარმოებში.

დიდი ხანი არ არის, რაც „ტრიოხგორნაია მანუფაქტურას" თანამშრომლებმა იზეიმეს უხუცესი მხატვრის დაბადების ოთხმოცი წლისთავი.

სურათზე: ლუდმილა მაიაკოვსკაია.

ფოტო დ. ჩერნოვისა.



(დასასრული)

— რა დროს ჩამოვიდა! მაგრამ მეშველა, ამ საღამოს მატარებლით გავემგზავრე. საუბარი შეწყდა...

— რას ლაპარაკობენ? — იკითხა ანჟელინამ.

— გოგოს ცოლი ჩამოსულია...

— გასაგებია...

აღელვებული ევა ძლივს წამოდგა. ანჟელინამ გაკვირვებით შეხედა.

— წავიდეთ, ანჟელინა... ატირდა.

— წავიდეთ. — თუმცა წასვლა არ უნდოდა, ანჟელინა მაინც დაეთანხმა. პარკიდან ფრთხილად გავიდნენ, გოგოს გაურიდნენ.

ოთახში რომ შევიდნენ, სინათლე არ აუნთიათ, თავ-თავის ლოგინზე წამოწვნენ. ევამ თავის ახალგაზრდა მეგობარს ყველაფერი უამბო, ბოლომდე მოისმინა.

— აი, რა საძაგელი ყოფილა თქვენი გოგო!..

— ჩემი გოგო?! — გაიკვირვა ანჟელინამ, ის თქვენ გეკუთვნით...

— რა სისულელეა...

— ძვირფასო, ახალგაზრდა ხარ, მაგრამ მე ხომ ქალი ვარ და ქალურ განცდებს კარგად ვუგებ... ეს ხომ გავიგე, რომ გოგო [illegible]... თქვენი ამბავი კი არ ვიცი... გოგო [illegible] ბით მეპყრობოდა, არ ვმალავ, მსიამოვნებდა... მაგრამ მივხვდი, როგორ ვუდებოდი... თქვენ რაღაც ძალიან გაწუხებთ, ძილში შფოთავთ... თქვენს [illegible] ხშირად გაუგონია... მეგონა, ჩემზე ეჭვიანობდით... იმ ხნის კაცი რა ჩემი შესაფერისია..., თქვენ...

— ანჟელინა, ამიტომ მიყვარხარ, რომ ასე გულახდილი და გულუბრყვილო ხარ...

— ევა მასთან მიიჭრა და გულში ჩაიკრა.

ერთხანს მდუმარედ ერთიმეორის გვერდით იწვნენ. ზღვის გრილი ნიავი ფანჯრიდან სასიამოვნოდ უბერავდა. ანჟელინას მშვიდად ჩაეძინა. ევა საწოლიდან ფრთხილად წამოდგა, რომ არ გაეღვიძებინა, თავის ლოგინს მიაშურა.

ევა მარტო დარჩა აკვიატებულ ფიქრებთან. ძილი არ ეკარებოდა. აფორიაქებული იყო, უნებურ კამათში ჩაება უხილავ მოსაუბრესთან.

— ევა, რა გაღელვებს? მაინც გინდა იყოლიო?.. აი, მამაკაცი, რომელიც შენთვის გაჩენილა. გადადგი გაბედული ნაბიჯი.

— თავი ამდენ ხანს პატიოსნად შევინახე...

— რად გინდა ეს პატიოსნება, თუ შენგან ასეთ დიდ მსხვერპლს მოითხოვს: არ იყო დედა, არ იგრძენი ჩვილის სითბო, ვერ გამოზარდე შვილი, არ გესმის პატარას ტიტინი... ხომ ხედავ, წელწელა ყველა მეგობარი ჩამოგცილდა, წავიდნენ თავ-თავის ოჯახში, შენთვის აღარავის სცალია... გამოფხიზლდი...

— ასე ამჯერად?! რატომ მე პირველმა?

— იმიტომ რომ გიყვარს...

— მაშინ ნუ დამძრახავენ... თუ მრავალშვილიან დედას აჯილდოებენ, მე ერთი შვილი მაინც არ უნდა ვაჩინო?...

— მაშინ მამა უნდა.

— რამდენი კანონიერი შვილი რჩება უმამოდ.

— ეს სულ სხვაა.

— ვიცი, ვიცი, რომ ეს სულ სხვაა... მაშინ რომ წამოსხდებოდნენ, მაშინ ხომ თავი უნდა მოეკლა.

— მაშინ რისი [illegible] დაქორწინება, გოგო ცოლს გაშორდა და გაითხოვდა.

— ოჯახი დაუნგრიოთ?!

— სხვის ქმარს რომ დაელაპარაკები ნაადრევ [illegible] ოჯახის დანგრევაა...

— განა ეს ჩემი ბრალია?!

— ევა, განა ცოტა რამ გააკეთე ქვეყნისათვის?..

— მაგრამ ადამიანის დანიშნულება ხომ მარტო ისაა, რომ მარტოოდენ საზოგადოებისთვის შრომობდე. პირადული კი დაივიწყო?..

— ვინ გიშლის, რომ გყავდეს კანონიერი ქმარი, კანონიერი შვილები?..

— სიყვარული... მე ვფიქრობ, ბევრი რამ მოაკლდა თქვენ მიერ დამკვიდრებულ წესში. იგი ცხოვრების განვითარებას ჩამორჩა...

— რა კარგად მსჯელობ, ევა!... ახლა საჭიროა მოქმედება...

— დამიცადე, დამიცადე... მე კი ლამის გული გამისკდეს, ლამის მკვდარი დავეცე... მე კი დამიცადე!... — ტირილით აღმოხდა. [illegible] ცრემლებმა გამოაფხიზლა. [illegible] გაქრა. ევა ფიქრებმა [illegible]. ანჟელინას მშვიდად ეძინა. [illegible] ვისთან საუბრობდა?!.

[illegible]

— ეს ხომ სიკვდილია... — შიშის ზარი დაეცა. თავის ოთახს მიაშურა. [illegible]

[illegible] ნჯარას მიადგა. ელექტრონათურებით განათებული აგარაკის იქით ზღვა ჩანავარდნილიყო. ცის ტატნობზე ვარსკვლავები დაუღალავად ციმციმებდნენ. [illegible] კიდევ ისმოდა. ეს [illegible] სიყვარულის სიხარულს მოიწოდებდა. ევამ [illegible] გაიღეღა, გრილი ნიავის ალერსი იგრძნო, მოეწონა. ფანჯრის რაფას დაეყრდნო.

ზღვის სიბნელეს ვიღაც მამაკაცი გამოეყო. ხელჯოხს ატრიალებდა, ნელი ნაბიჯით სანატორიუმს უახლოვდებოდა. ფანჯრებს შესცქეროდა, თითქოს ვიღაცას დაეძებდა. მაღლა შეიცქირა, გაჩერდა... მერე უეცრად ჩქარი ნაბიჯით სანატორიუმისაკენ გამოეშურა. ევა დაინახა. მისკენ მოიწია. ხელს უქნევს, ანიშნებს, ჩამოდიო...

ეს სიზმარია თუ ცხადი?! გული თითქოს მოწყდა. გაშეშდა, მზად არის მოხვევის ძირს ჩავიდეს.

— რა მემართება?!

მაღლიერი დაუძლეველია... კარს უახლოვდება... თითქოს შეეხო, ადგილიდან ვერ იძვრის, ვერც ამბრუნდება... მობაჯადრებული ძახილი ესმის. დერეფანში გავიდა. გაბრჭყვიალებულმა ელნათურებმა თვალი მოსჭრა.

ფეხის ხმა მოესმა. ადგილზე გაქვავდა... ის არის...

კიბიდან დერეფანში შემოდის ახალგაზრდა ქალი, ხელში ჩემოდანი უჭირავს, გაღიმებული პირდაპირ მისკენ მოემართება. შეჩერდა, ჩემოდანი დადგა. ევა გაოცებული უყურებს.

— მაპატიეთ, ვერ მიცანით, თქვენი ყოფილი სტუდენტი, ცირა ნათობიძე?

— ჰო, როგორ არა ცირა!... — ძლივს გამოერკვა და დაბნეულად უპასუხა ევამ.

ცირა გადაეხვია თავის ლექტორს და გადაჰკოცნა.

ევა უცნაურად თავის კალაპოტში აღმოჩნდა. თითქოს ახალგაზრდებულმა მაჯისცემამ თავი დააღწია. გული შეუმსუბუქდა... და იგი გახდა ისეთივე თავშეკავებული, როგორიც ყოფილიყო, ცირას დინჯად გაუბა საუბარი, დაბინავებაში დაეხმარა.

* * *

მეორე დღეს ევა ცხვედაძე მოულოდნელად თბილისს გაემგზავრა, გამოთხოვება მოიმიზეზა. ანჟელინამ და ცირამ ყვავილებით გააცილეს.

„ვეფხისტყაოსანი" — ბერძნულად...

სოხუმელმა პედაგოგმა, ამჟამად პენსიონერმა მანოლის მეტაქსიდისმა დიდი ხანია დაიწყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ბერძნულად თარგმნა. ამ დღეებში სოხუმის მასწავლებელთა სახლში მოეწყო თარგმანის განხილვა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ლექტორმა ბ. გვასალიამ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლ. ჭელიძემ, ბერძნული სახალხო თეატრის რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. სულიკაშვილმა, დოცენტმა ა. [illegible], ა. გრიშინამ, ს. ფოსტიროპულომ, კ. ხარტომაჩიდიმ და სხვ.

□—□

ახალი დადგმები

სოხუმის თეატრის კოლექტივი შეუდგა ორი ახალი დადგმის განხორციელებას. ქართული დასი ამზადებს გ. ბერძენიშვილის პიესას „მთაში ნათქვამს", რომელიც დაწერილია ა. ყაზბეგის ცნობილი მოთხრობის — „ელგუჯას" მიხედვით. პიესას დგამს რეჟისორი ა. ქუთათელაძე.

აფხაზური დასი მორიგ პრემიერად ამზადებს იტალიელი დრამატურგის ედუარდო დე ფილიპოს ტრაგი-კომედიას — „ფილუმენა მარტურანოს". ამ დადგმის რეჟისორები ბ. კოპეა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ჯ. კოტლაროვს, მუსიკა — მ. [illegible].

ნ. მიქამაძე

მთარგმნელთა სექციის სხდომაზე

მთარგმნელთა სექციის სხდომამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა ა. კუპრინის მოთხრობების ქართული თარგმანები.

მომხსენებელმა ლანა ხიხაძემ ვრცლად გააცნო ა. კუპრინის თხზულებათა პირველ ტომში შეტანილი მოთხრობების ქართული თარგმანები, რომლებიც შესრულებულია გ. ნამორაძის, დ. საყვარელიძის, ნ. სამსონაშვილის, მ. კახიძის და ნ. შველიძის მიერ. მომხსენებელმა ილაპარაკა კუპრინის შემოქმედების სტილისტურ თავისებურებებზე და იმაზე, თუ როგორ არის დაცული ეს თავისებურებები თარგმანში, როგორ არის გადმოტანილი კუპრინის ნაწარმოებთა ფსიქოლოგიური ნიუანსები ქართულ ენაზე. მან აღნიშნა, რომ თარგმანი საერთოდ კარგად არის შესრულებული, მაგრამ არის ზოგიერთი შეუსაბამობა. მომხსენებელმა თავისი ყურადღება გაამახვილა თარგმანის უფრო ნეგატიურ მხარეებზე და მოიყვანა არაზუსტი, ცუდი თარგმანის მაგალითები.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს არ. ჭუმბაძემ, გ. გორგაძემ, რ. ჭორჭიამ, ზ. პეტრიაშვილმა, მ. თოდუამ, ნატო ჩხეიძემ, ნ. ავერმანმა, გ. ციცქიშვილმა, ა. დავითიანმა და შ. აფხაიძემ. მათ გაიზიარეს მომხსენებლის შენიშვნები და აღნიშნეს ის ნაკლოვანებები, რომლებიც გამომცემლობასა და მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის ურთიერთობაში არსებობს. მთარგმნელობით საქმეში ნაკლებად არიან ჩაბმულნი მწერლები და იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა სრულიად შემთხვევითი პირები თარგმნიან.

ახალი წიგნები

„სოვეტსკი პისატელი"



გრიგოლ ჩიქოვანი — ოდიშის ცის ქვეშ. (რჩეული მოთხრობები, თარგმნილი ნ. ავერმანის, თ. ჯაფარიძის, მ. შველიძის, მ. ლობჟანიძის, ა. ჯაფარიძის, ვ. მიხაილოვის, თ. რომანჩენკოს, ი. ნაგიბინის და ვ. მლოგულაშვილის მიერ).

წიგნს წამძღვარებული აქვს გამომცემლობის ანოტაცია, რომელშიც მოკლედ დახასიათებულია ავტორის შემოქმედება და აღნიშნულია, რომ პროზაიკოსის ნაწარმოებები მკითხველს იზიდავს თავისი გმირის, — ახალი სამყაროს მშენებლისა და შემოქმედის, საბჭოთა ადამიანის წრფელი სიყვარულით. მოთხრობების სტილი, რომელშიც გამომჟღავნებულია მწერლის მხატვრული ოსტატობა, გამოირჩევა თბილი ლირიზმით, რომანტიკული მღელვარებით და ხალხური იუმორით.

წიგნის რედაქტორია ნ. ანდრიევსკაია, მხატვარი — ა. ლური, შეიცავს 358 გვ. და ღირს 71 კაპ.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 66449
რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონი — 3-47-10, საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04653